ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 4 ოქტომბერი, 2022 №195 (8973) ფასი: 80 თეთრი

## თბილისში, ზესტაფონის ქუჩაზე, მამაკაცის დაჭრის ფაქტზე 1 პირი დააკავეს



გვ.5



გვ.5

## შალვა ხაჭაპურიძე: „სააკაშვილის ამერიკელ ადვოკატს სასამართლო პროცესზე გამოსვლის უფლება არ ექნება“

# „რუსეთიდან შემოსულების გაფილტვრა უნდა ხდებოდეს“



გვ.2

## ალექსი პეტრიაშვილი: „პუტინის იმპერიის ჩამოშხობის რეალური ნიშნები სახეზეა“



## ხატია დეკანოიძე: „თუ სასამართლოში დარჩება „კლანი“, რეკომენდაცია შესრულებულად არ ჩაითვლება – მმართველმა გუნდმა შელამაზებული და ფასადური რეფორმა წარმოადგინა“



გვ.3

## „ოპოზიციამ უნდა დატოვოს პარლამენტი და დაიწყოს დაუმორჩილებლობა“



გვ.3

მურმან დუმბაძე: „ქვეყანა იცლება ქართველებისგან და აივსება რუსებით. ოპოზიციამ რაღაც უნდა იღონოს, რომ ეს პროცესი შეჩერდეს“



გვ.3

## მამუკა მდინარაძე: „ბუნებაში არ არსებობს მტკიცებულება, რომ ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკურ პროცესებზე გავლენას ახდენს“

## პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი TAV Airports-ის პრეზიდენტ სერქან კაპტანს შეხვდა



გვ.2

## ელენე ხოშტარია: „მინდა, აფხაზებს მივმართო: არ ჩაჰყვეთ ოკუპანტს ისტორიულ სანაგვეზე“



გვ.3



გვ.4

## „ლუკაშენკო აფხაზეთში ჩასვლით საქართველოს საზოგადოების აღშფოთებას პროვოცირებას უწევს“


2 კლინიკებს პანდემიის დროს მიღებული თანხების სახელმწიფოსთვის დაბრუნება მოუწევთ

4 პროდუქტები, რომლებიც სექტემბერში გაიაფდა

6 უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ 54.000-ზე მეტმა უკრაინელმა თავშესაფარი ირლანდიას სთხოვა

6 ტყეში სეირნობის დროს ძაღლმა პატრონს ხელი მიუტანა


1993230720223

# „რუსეთიდან შემოსულების გაფილტვრა უნდა ხდებოდეს“

## ალექსი პეტრიაშვილი: „პუტინის იმპერიის ჩამომხობის რეალური ნიშნები სახეზეა“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში ალექსი პეტრიაშვილი პასუხობს.

***– ბატონო ალექსი, ვისმენთ შეფასებებს, რომ დღეს უკრაინა ძალიან ახლოს არის ნატოსთან. ძალიან მნიშვნელოვანი ეტაპი იწყება უკრაინისთვის და ამ დროს სად ვართ ჩვენ?***

– რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანი პროცესები ვითარდება. ძალიან წარმატებულია, ბოლო მეორე თვეა, უკრაინის კონტრიერიში რუსეთის საოკუპაციო ძალების წინააღმდეგ. ძალიან მნიშვნელოვანია, რაც მოხდა ხარკოვის გათავისუფლებით. როდესაც ეს ინტერვიუ დაიბეჭდება, შეიძლება, ხარკოვი 100%-ით გათავისუფლებული იყოს. ძალიან სერიოზული ტერიტორიების დაბრუნებას ახერხებს უკრაინა. რუსეთის არმია კი სრულიად დემორალიზებულია და ეს აშკარაა. თავად რუსი სამხედრო ექსპერტები და კორესპონდენტებიც საუბრობენ ამაზე.

***– უკრაინის ოკუპირებულ ტერიტორიებს რომ იერთებს პუტინი? ხელიც მოაწერა ამ დოკუმენტს.***

– ის ფაქტი, რომ ვლადიმერ პუტინმა, ფიქტიურად, ხელი მოაწერა რაღაცა დოკუმენტს, რომელიც გულისხმობდა უკრაინის დროებით ოკუპირებული ტერიტორიების მიერთებას, ეს გარდამტეხი დატვირთვის არ აღმოჩნდა. დღეს რეალურად უკრაინა ისევ ისე განაგრძობს საკუთარი ტერიტორიების გათავისუფლებას, როგორც აქამდე. ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რომ სწორედ ამავე დღეს მიმართა უკრაინის პრეზიდენტმა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს დაჩქარებული წესით ნატოში გაწევრიანების თაობაზე.

***– ეს ყოველივე რას ცვლის?***

– ცხადია, უკრაინასა და ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს შორის წინასწარი კონსულტაციები გარკვეულ ეტაპებზე და დონეებზე გავლილი იყო. ჩვენ ვხედავთ, რომ ნატოს წევრი ქვეყნების ცხრა პრეზიდენტებმა ხელი მოაწერეს ერთობლივ მხარდამჭერ წერილს. კანადის საგარეო საქმეთა მინისტრმა ასევე პირველივე საათებში გამოხატა მხარდაჭერა. ასევე ამერიკის შეერთებული შტატებიც და გერმანიაც ვერბალურ დონეზე მხარს უჭერენ და არ არიან წინააღმდეგი უკრაინის დაჩქარებული წესით ნატოში გაწევრიანების, ანუ, რომ შევაჯამოთ, რეალურად ტექტონიკური, გლობალური ცვლილებების მომსწრე ვხდებით.



სახეზეა პუტინის იმპერიის ჩამომხობის რეალური ნიშნები და სრულიად ახალი უსაფრთხოების სისტემის, ფორმულისა და პლატფორმების ჩამოყალიბების პერსპექტივები. რაც მთავარია, ის ვალდებულება, რომელიც 2008 წელს აიღო ნატომ უკრაინისა და საქართველოს ნატოში გაწევრიანების თაობაზე, დღეს, ამ დიდი ბრძოლებს, სისხლისღვრისა და დიდი დანაკარგის შედეგად, მაგრამ უკრაინამ შეძლო, შეენარჩუნებინა თავისი სახელმწიფოებრიობა, არ გადაეხვია ამ კურსიდან. ის უკვე ათავისუფლებს თავის ტერიტორიებს. ის წარმოადგენს არა მხოლოდ თავისი ქვეყნის უსაფრთხოების გარანტორს, არამედ მნიშვნელოვან როლს თამაშობს ევროპის უსაფრთხოებაში.

***– როდესაც უკრაინა ასე ახლოსაა ნატოსთან, ჩვენ სად ვართ ამ დროს, როგორია ჩვენი პერსპექტივა?***

– ამ დროს საქართველო უნდა მუშაობდეს 24-საათიან რეჟიმში, რომ საქართველოც ამ ახალ განვითარებასა და შესაძლებლობაში იყოს დანახული, როგორც ალიანსის წევრი. საქართველოს, თავის მხრივ, ძალიან ბევრი აქვს გაკეთებული ნატოსთან თავდაცვის სფეროში თავსებადობის თვალსაზრისით, ასევე – ნატოში ინტეგრაციის კუთხით. ამ მიმართულებით, ისევე, როგორც ევროინტეგრაციის მიმართულებით, საქართველო ერთ დროს ლიდერი, სანიმუშო ქვეყანა იყო. სამწუხაროდ, მე ვერ ვხედავ, რომ დღეს აქტიური მუშაობა მიმდინარეობდეს საქართველოს ხელისუფლების მხრიდან. უფრო ცუდიც, პრემიერის გაცხადებული პოზიცია, რომ ვიდრე არ აღდგება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, ის ნატოში ვერ გაწევრიანდება. მე კი ვიტყოდი, რომ ამის პრეცედენტები არსებობს და საქართველომ არ უნდა გაუშვას ხელიდან ეს უნიკალური შესაძლებლობა. ასეთი შესაძლებლობის ფანჯარა იხსნება ასწლეულებში ერთხელ. შესაძლოა, უახლოესი 50 წლის განმავლობაში ეს ფანჯარა აღარ გაიხსნას.

საქართველოს ხელისუფლებას ნუ ჰგონია, რომ უკრაინის ხარჯზე მასაც ავტომატურად დაუძახებენ და გააწევრიანებენ ნატოში.

***– რა პოზიცია აქვს დღეს ჩვენს ხელისუფლებას, რა უნდა?***

– თვალშისაცემი და შესამჩნევია საქართველოს ხელისუფლების მაამებლური პოზიცია რუსეთთან მიმართებით. ეს არგალიზიანება რეალურად უკვე ითარგმნება მაამებლურ პოზიციად და, სულ ყველაზე მოზომილად რომ ვთქვა, ჩვენი ხელისუფლების ძალიან ნეიტრალური დამოკიდებულებაა უკრაინასთან მიმართებით. ჩნდება კიდეც განცდა იმისა, რომ მმართველ ძალაში ბევრს არ უხარია, უკრაინა რომ იმარჯვებს. მათ მიერ გაკეთებული იყო წინასწარი პროგნოზებიც, სხვათა შორის, უმაღლესი დონიდან, რომ ზელენსკიმ დაღუპა ქვეყანა, ვერ აარიდა ქვეყანას ეს დამანგრეველი კონფლიქტი, წააგო უკვე უკრაინამ და ასე შემდეგ. ეს გზავნილები სულ ხელისუფლების მოლაპარაკე თავებიდან მოდიოდა.

***– როდესაც ასე შეიცვალა სიტუაცია უკრაინაში, ხომ შეეძლო ჩვენს ხელისუფლებას, რბილად, უმტკივნეულოდ შეეცვალა პოლიტიკა? რა უნდათ, საფლავში მიჰყვებიან პუტინს?***

– მათ აქვთ ჯერ კიდევ შიში და ნაწილობრივ რწმენაც, რომ ვითარება შეიცვლება რუსეთის სასარგებლოდ. ეს არის ძალიან სერიოზული ახლომხედველობა. სრულიად ნათელია, რომ უკრაინა გაიმარჯვებს. დღითიდღე ძლიერდება საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერა. უკრაინა აუცილებლად გაიმარჯვებს რუსეთთან ბრძოლაში. მთელ მსოფლიოში აცნობიერებენ, რომ ეს არის ბრძოლა დემოკრატიასა და დიქტატურას შორის. ყველა დიქტატორი შეჰყურებს, რა დაემართება ახლა რუსეთს.

***– როდესაც უკრაინა ასე ახლოსაა ნატოსთან, რამდენად იზრდება საფრთხე, რომ პუტინმა ბირთვული იარაღის გამოყენებაზე იფიქროს?***

– ბევრს საუბრობენ ამასთან დაკავშირებით. მე მაინც ვფიქრობ, რომ ის უმკაცრესი გზავნილები, რომლებიც წამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების მაღალი თანამდებობის პირებისგან, ასევე ვიცით ყოფილი სამხედრო პირების საკმაოდ მაღალი რანგის განცხადებები რუსეთის მისამართით და რა დაემართება რუსეთს, თუ ასეთი გეგმა მათ თავში ჯერ კიდევ იარსებებს. ცხადია, უყურადღებოდ არ უნდა დარჩეს ის განცხადებები, რომლებსაც დიმიტრი მედვედევის, კადიროვისა და დანარჩენებისგან ვისმენთ. ყურადღება გასამახვილებელია, რისკი ნარჩუნდება, მაგრამ ის ჯერ კიდევ ძალიან დაბალ დონეზეა, იმიტომ, რომ თავად პუტინის გარემოცვაში, დარწმუნებული ვარ ამაში, არის ადამიანების წრე, რომელიც ეკონტაქტება ამერიკის შეერთებულ შტატებს.

დარწმუნებული ვარ, არავის არ სურს პუტინთან ერთად ბუნკერში სიკვდილი, როდესაც იციან, რომ ეს გარდაუვალი იქნება, თუ ამ გადაწყვეტილების თანამონაწილეები იქნებიან.

***– ჩვენი საზოგადოებისთვის ძალიან მტკივნეული საკითხია ამდენი რუსის შემოსვლა ჩვენს ქვეყანაში. რამდენად საშიში სიტუაციაა და რა პრობლემები შეიძლება მოიტანოს ამ ყველაფერმა, რამდენად სახიფათო პროცესი მიმდინარეობს?***

– ძალიან სახიფათო პროცესია. პირველ დღეებში, შესაძლოა, ეს კონკრეტული საფრთხის მატარებელი არ იყოს, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ისეთ ქვეყანაში, როგორიც არის საქართველო, რომლის საზოგადოებასაც ჯერ კიდევ ძალიან ღია აქვს ჭრილობები რუსეთთან ომის და ორი ომის უახლოეს პერიოდში, ჩვენი წარსული ისტორია არანაირად არ გვაძლევს რუსეთის მოქალაქეების, საიდანაც მათი 95% მამაკაცია, ტურისტებად აღქმის ფუფუნებასა და ამ საფრთხის უგულებელყოფის უფლებას.

***– ყველაფერს ვაკონტროლებთო და რამდენად აკონტროლებს ამ პროცესს ხელისუფლება?***

– სამწუხაროდ, არ ტოვებს ხელისუფლება ისეთ შთაბეჭდილებას, რომ ისინი ყველაფერს აკონტროლებენ. ჩვენი ქვეყნისთვის სრულიად ნორმალური იქნებოდა ზემო ლარსის გამშვებ პუნქტზე საზღვრის ჩაკეტვა, სულ მცირე, სერიოზული სავიზო რეგულაციების შემოღება, შემომსვლელების გაფილტვრა, რომლებიც ასეთ ნაკადებად მოედინება ჩვენს ქვეყანაში, რომლებიც დემოგრაფიულ რეალობას, დემოგრაფიულ სურათს შეცვლიან ჩვენი ქვეყნის უახლოეს პერიოდში! ეს კი აუცილებლად იქნება საფრთხე. აქედან მათი დედასამშობლო რუსეთში დაბრუნება კიდევ უფრო რთული იქნება.

ეს ხელისუფლება ძალიან სერიოზულ ტვირთსა და პასუხისმგებლობას იღებს თაობების წინაშე. ეს არის ძალიან სახიფათო პასუხისმგებლობა. ეს მაამებლური პოლიტიკა პუტინის რუსეთთან, შეიძლება, ძალიან დიდი განსაცდელის მომტანი იყოს ჩვენი ქვეყნისთვის.

## პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი TAV Airports-ის პრეზიდენტ სერქან კაპტანს შეხვდა



საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი TAV Airports-ის პრეზიდენტ სერქან კაპტანს შეხვდა.

მხარეებმა არსებული და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები განიხილეს. ყურადღება დაეთმო საქართველოში ტურიზმის აღდგენის მზარდ დინამიკას და ამ მიმართულებით არსებული სერვისების გაუმჯობესების მნიშვნელობას.

ითქვა, რომ პანდემიამ ოპერატორი კომპანიები არაერთი გამოწვევის წინაშე დააყენა. მთავრობის მეთაური მიესალმა TAV-ის ოპერატიულ გადაწყვეტილებებს, არსებული ვითარების გაუმჯობესების მიზნით და იმედი გამოთქვა, რომ სამომავლოდ კიდევ უფრო მეტი სიახლე იქნება შეთავაზებული.

შეხვედრისას აღინიშნა, რომ მნიშვნელოვანია, ახალი ავიახაზებისა და ახალი მარშრუტების სტიმულირება. პრემიერის თქმით, საქართველოს მთავრობა მზადაა, TAV-თან ერთად აქტიურად იმუშაოს ამ მიმართულებით.

შეხვედრას საქართველოს მხრიდან ვიცეპრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ლევან დავითაშვილი, ხოლო TAV Airports-ის მხრიდან TAV Airports-ის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე (ვიცეპრეზიდენტი) ფრენკ მერეიდი და TAV Georgia-ს გენერალური მენეჯერი თეა ზაქარაძე ესწრებოდნენ.

„ტავ ჯორჯია“ „TAV Airports Holding“-ის შვილობილი კომპანიაა. კომპანიის მხრიდან საქართველოში განხორციელებული 220 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიციის შედეგად, ექსპლოატაციაში შევიდა თბილისისა და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტების ახალი სამგზავრო ტერმინალები. 2016-17 წლებში განხორციელებული ინვესტიციის შედეგად თბილისის საერთაშორისო აეროპორტში სრულად რეაბილიტირდა არსებული ასაფრენ-დასაფრენი ზოლი და აშენდა ახალი მოფრენის ტერმინალი.

## კლინიკებს პანდემიის დროს მიღებული თანხების სახელმწიფოსთვის დაბრუნება მოუწევთ

კლინიკებს შეიძლება COVID-19-ის პანდემიის დროს არამართლზომიერად განკარგული თანხების უკან დაბრუნება მოუწიოთ – ამის შესახებ ჯანდაცვის მინისტრმა ზურაბ აზარაშვილმა განაცხადა.

მინისტრის განცხადებით, კლინიკებთან დაკავშირებით სამინისტროს სულ სამი პრობლემური საკითხი აქვს. აქედან პირველი იყო ექიმებისა და ექთნებისთვის განკუთვნილი დანამატების არამიზნობრივად გამოყენება, მეორეა ინფექციის კონტროლი პანდემიისა და მის შემდგომ პერიოდში, მესამე კი პანდემიის დროს გადარიცხული მილიონი ლარის არამიზანმიმართულად დახარჯვა.

ზურაბ აზარაშვილის თქმით, დამტკიცების შემთხვევაში, სამინისტრო ამ თანხების დაბრუნებას გეგმავს.

– კოვიდის საკითხებზე სამი მიმართულებით ვმუშაობთ. ერთი იყო ის დანამატი, რაც ექიმებს და ექთნებს უნდა აეღოთ. აქ მნიშვნელოვნადაა შემცირებული პრობლემები, თუ სწორად მახსოვს 20 კლინიკამდეა დარჩენილი პრობლემური, ზოგიერთ კლინიკასთან სამწუხაროდ, სასამართლო დავებშიც შევედით მათი მხრიდან არასწორი დამოკიდებულების გამო და ამ თანხებს აუცილებლად გადავახდევინებთ იმ ექთნებისა და ექიმებისთვის, ვისაც ეს უნდა მიეღო. სახელმწიფომ გამოყო ეს თანხები.

მეორე მიმართულებაა ინფექციის კონტროლი, ის პრობლემები რაც პანდემიამ დაგვანახვა და უკვე 80 კლინიკამდე ავედით, ზოგ კლინიკაში უკვე ორჯერ და სამჯერ ვიყავით ამ მიმართულებით და ეს არამხოლოდ ამ პანდემიის პირობებში, სხვა შემთხვევაშიც აუცილებელია, რომ ეს სტანდარტი კლინიკებს გააჩნდეთ. აუცილებლად გავაგრძელებთ კლინიკების გადამოწმებას და პერიოდულობით მოხდება მათი შემოწმება. სამწუხაროდ, ცუდი შედეგები გვქონდა პირველ შემოწმებაზე და მეორე-მესამე შემოწმებისას გამოსწორდა.

მესამე საკითხი თანხების მართვაა, დიახ ეს პრობლემები იყო. საკმაოდ მკაცრად მივყვებით ამასაც, კლინიკებთანაც გვაქვს აქტიური კომუნიკაცია და ახლა ვართ იმ ეტაპზე, როდესაც მიდის განხილვები და იმ კონკრეტული გაანგარიშებების გადახედვა, თუ რამდენად სწორად იყო დახარჯული, კლინიკებთან მიდის ამის განხილვა და საბოლოოდ უკვე როცა დადასტურდება მათი ბრალეულობა, მათ ბიუჯეტში უკან ექნებათ დასაბრუნებელი თანხები და მერწმუნეთ ეს თანხები დაბრუნდება, – განაცხადა ზურაბ აზარაშვილმა.

ამ დროისთვის უცნობია, რამდენ მილიონ ლარს ედავება სამინისტრო კლინიკებს. ასევე უცნობია იმ კლინიკების რაოდენობაც, რომელთაც სამინისტრო თანხების დაბრუნებას სთხოვს.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ოპოზიციამ უნდა დატოვოს პარლამენტი და დაიწყოს დაუმორჩილებლობა“

**მურმან დუმბაძე: „ქვეყანა იცლება ქართველებისგან და აივსება რუსებით. ოპოზიციამ რაღაც უნდა იღონოს, რომ ეს პროცესი შეჩერდეს“**

ნათია ხურცილავა

*„ნაციონალური მოძრაობა — გაერთიანებული ოპოზიციის“ ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი მურმან დუმბაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.*

***— ბატონო მურმან, უმრავლესობის წევრმა ბექა დავითულიანმა განაცხადა, რომ ოპოზიციას „დეოლიგარქიზაციის შესახებ“ კანონში პირდაპირ ბიძინა ივანიშვილის სახელის ჩაწერა სურს — არ ჩაიწერება!***

— ამიტომ ვამბობ, რომ არ თქვან მსგავსი რამ ბექა დავითულიანმა, ირაკლი კობახიძემ, მამუკა მდინარაძემ და სხვებმა. არ ღირს ამ ხალხთან ერთად კანონებზე ფიქრი და კანონების წერა. ყოველგვარ 12-პუნქტიან გეგმაზე საუბარს უნდა მოეღშვათ. არაფრის გამკეთებელი ეს ხალხი არ არის. „ქართულმა ოცნებამ“ ეს არაერთგზის დაამტკიცა.

პარლამენტში შესულ ოპოზიციას თავიდანვე უნდა სცოდნოდა, რომ არ შეიძლებოდა ამ ხალხთან ისეთ საკითხებზე საუბარი, როგორიც არის ევროკავშირის წევრობა, კანდიდატის სტატუსის მიღება და ა.შ. ეს სრულიად გაუგებარი თემებია მათთვის. როგორ შეიძლება იმ ხელისუფლებასთან ევროკავშირსა და ნატოზე საუბარი, რომლის მიზანიც პუტინის გამარჯვებაა. ოფიციალურად, ღიად, ისე, რომ არც მალავენ, რუსეთის გამარჯვება უფრო აწყობთ, ვიდრე უკრაინის. ხელისუფლება, რომელმაც ანტისაოკუპაციო მიტინგი დაარბია, სრულიად გასაგებია, რა მიზნებს ემსახურება. ამიტომ ამ ხალხთან ყოველგვარი საუბარი უნდა დავამთავროთ.

***— რას სთავაზობთ საპარლამენტო ოპოზიციას, არ გააგრძელონ კანონპროექტებზე მუშაობა?***

— საპარლამენტო ოპოზიციამ პარლამენტი უნდა დატოვოს. ამას ვთავაზობ. უკვე დროა, რომ ეს გადაწყვეტილება მიიღონ და დროზე გამოვიდნენ პარლამენტიდან, საკრებულოებიდან და დავიწყოთ ფიქრი იმაზე, მართლა როგორ გავხდეთ ევროკავშირისა და ნატოს წევრი და როგორ გამოვიყვანოთ ქვეყანა კრიზისიდან. ამაზე უნდა ვფიქრობდეთ და არა იმაზე, მოვრიგდებით თუ არა კობახიძესთან. ეს დროის ფუჭი კარგვაა.

***— რატომ, ფიქრობთ, ვერ შეასრულებენ საშინაო დავალებას?***

— რის შემსრულებლები არიან. არავითარი ევროკავშირი მათ არ აინტერესებთ. ამ ხელისუფლების მიზანია რუსეთისა და პუტინის გამარჯვება, რომ მათ ამ გზით შეინარჩუნონ ძალაუფლება. ამ ხელისუფლების გადარჩენის გზა რუსეთის გადარჩენაზე გადის და



რომელ ევროკავშირზე მელაპარაკებით. ამიტომ ვამბობ, რომ არ შეიძლება მათთან ერთად კანონების წერა. ეს კანონები არ გამოადგება ჩვენს ქვეყანას.

ოპოზიციამ უნდა დატოვოს პარლამენტი და უნდა დაიწყოს საყოველთაო დაუმორჩილებლობა, რომ შედეგი დადგეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს ქვეყანა დაიცლება ქართველებისგან და აივსება რუსებით. ეს უკვე ისედაც ხდება, მაგრამ ოპოზიციამ უნდა იღონოს რაღაც, რომ ეს პროცესი შეჩერდეს.

***— ნატოში დაჩქარებული წესით გაწევრიანებასთან დაკავშირებით უკრაინამ უკვე გააკეთა განაცხადი. როგორი შეიძლება იყოს „ქართული ოცნების“ პოზიცია, თუ მსგავსი შანსი ჩვენც მოგვეცემა?***

— ამ ხელისუფლებამ ყველა რესურსი ამოწურა. ნატო, ევროკავშირი არის ამ ქვეყნის გადარჩენა და ამ ქვეყნის მომავალი, რაც სრულიად ეწინააღმდეგება „ქართული ოცნების“ პრიორიტეტებს.

***— მათი პრიორიტეტი რა არის?***

— მხოლოდ ძალაუფლების შენარჩუნება ყველაფრის ფასად. ამიტომ უნდათ პუტინის გამარჯვება, რომ აქ ძალაუფლება შეინარჩუნონ. ღრმა პოლიტიკური შეცდომაა ფიქრი იმაზე, რომ ათი წლის თავზე ეს ხელისუფლება პრიორიტეტებს შეცვლის. ეს გამორიცხულია.

უკრაინაში სწრაფად უნდა დამთავრდეს ომი უკრაინელი ხალხის გამარჯვებით და შემდეგ უკრაინასთან ერთად ჩვენც უნდა გავაკეთოთ განაცხადი როგორც ევროკავშირის, ისე ნატოს წევრობაზე. ეს უნდა იყოს ოპოზიციის ამოცანა ქართველ ხალხთან ერთად, მაგრამ ამას მხოლოდ ეროვნული ხელისუფლება გააკეთებს.

***— აქციები იქნება?***

— დაუმორჩილებლობა აქციების გარეშე ალბათ რთულად წარმოსადგენია. პოლიტიკოსების დღის წესრიგში, დაუმორჩილებლობასთან ერთად, აქციები, პროტესტის სხვადასხვა ფორმა უნდა შედიოდეს.

# მამუკა მდინარაძე: „ბუნებაში არ არსებობს მტკიცებულება, რომ ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკურ პროცესებზე გავლენას ახდენს“

— არცერთი მტკიცებულება არ არსებობს საიმისოდ, რომ ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკურ პროცესებზე ახდენს გავლენას ან რაიმე ფორმით ერევა, — ამის შესახებ „ქართული ოცნების“ აღმასრულებელმა მდივანმა, საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე მამუკა მდინარაძემ განაცხადა.



მამუკა მდინარაძის განცხადებით, ბიძინა ივანიშვილის ოლიგარქობასა და პოლიტიკურ პროცესებზე გავლენასთან დაკავშირებით ოპოზიციის „ყველა წინადადება „ფეიკია“.

— არცერთი მტკიცებულება არ არსებობს იმიტომ, რომ ეს რეალობა არ არსებობს, ეს მოცემულობა არ არსებობს, შესაბამისად, არცერთი მტკიცებულება არ არსებობს საიმისოდ, რომ ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკურ პროცესებზე ახდენს გავლენას ან რაიმე ფორმით ერევა. ასეთი მტკიცებულება ბუნებაში არ არსებობს.

არის სხვა კრიტერიუმებიც, აფინანსებს თუ არა რომელიმე პოლიტიკურ ორგანიზაციას? — არ აფინანსებს, შესაბამისად, მტკიცებულებაც არ არსებობს და ა.შ. აქედან გამომდინარე, თუ არცერთი მტკიცებულება არ არსებობს საიმისოდ, რომ ადამიანს უწოდო, არა მხოლოდ კანონით, ზერადაც კი, ოლიგარქი, ასეთი ადამიანი ვერ იქნება ოლიგარქი და „ფეიკი“ რომაა მათი ყველა წინადადება ამასთან დაკავშირებით და ებრძვიან პოლიტიკიდან უკვე დიდი ხნის წასულ ადამიანს, აქედან აშკარადაა ეს ყველაფერი, — განაცხადა მამუკა მდინარაძემ.

მამუკა მდინარაძის განცხადებით, მსგავსი არასწორი განცხადებების გავრცელებაში გიორგი გახარია ლიდერი, თუმცა მანაც კი ვერცერთ მტკიცებულებას ვერ წარმოადგენა ვერასდროს, რომ ბიძინა ივანიშვილი ოლიგარქის რომელიმე კრიტერიუმს აკმაყოფილებს.

— როდესაც ეს მოცემულობა დადგა, ენას ხომ ძვალი არა აქვს, რასაც უნდათ, იმას ამბობენ. ვაშაძის არ იყოს, ვაშაძეა აქ ლიდერი, რასაც უნდა იმას იტყვის. დაავალეთ სიბინძურე, ადგება და იტყვის. ვაშაძემაც კი ვერ დაასახელა ვერცერთ მტკიცებულება ვერასდროს, რომ ეს ადამიანი რომელიმე კრიტერიუმს აკმაყოფილებს. ამ დროს ოპოზიციაში აღმოჩნდა უამრავი ადამიანი და ჩიხში შევიდნენ წლების განმავლობაში ნაწარმოები პიარით, ალიაჩნდათ ადამიანები, რომლებიც ოლიგარქის ყველა კრიტერიუმს აკმაყოფილებენ. ახლა ამ ჩიხის გამო ამბობენ, რომ არ გვაწყობს ეს კანონი. უკრაინაში რაც კარგია, ჩვენთან არ აწყობს ოპოზიციას და უნდა ვიაროთ მათ დაკრულზე. ვიმსჯელოთ ამ თემაზე და, თუ აწყობთ, გადმოვიტანოთ უკრაინული კანონმდებლობა და პირდაპირ მივიღოთ, ჩვენ ამაზე თანახმა ვართ, — განაცხადა მამუკა მდინარაძემ.

ამასთან, კითხვაზე, საარჩევნო რეფორმები უზრუნველყოფს თუ არა არჩევნების სათანადოდ, დემოკრატიულად ჩატარებას, მამუკა მდინარაძე პასუხობს, რომ არ არსებობს ისეთი პუნქტი, სადაც შეიძლება ვინმეს სათქმელი დარჩეს, რომ „ქართულმა ოცნებამ“ რაღაცის შესრულებაზე უარი დაიხია.

— არ არსებობს არცერთი პუნქტი, არა მხოლოდ საარჩევნო რეფორმასთან დაკავშირებულ ცვლილებები, რომლებიც ზედმიწევნით არ მიჰყვება რეკომენდაციების შესრულების ვალდებულების პათოსს, არა მხოლოდ პუნქტობრივად და არ არსებობს ისეთი პუნქტი, სადაც შეიძლება ვინმეს სათქმელი დარჩეს, რომ ჩვენ რაღაცის შესრულებაზე უარი დავიხიეთ.

თეორიული დაშვებაც კი რომ გამორიცხოს, გარკვეული მანიპულაციების, ამ დონის რეგულაციებზე საუბარი და ამას გვირგვინად ადევს ელექტრონულად ჩატარება არჩევნებისა, რაც ასევე საშუალებას იძლევა, რომ ყოველგვარი სპეკულაცია გამორიცხოს, — განაცხადა მამუკა მდინარაძემ.

# ელენე ხოშტარია: „მინდა, აფხაზებს მივმართო: არ ჩაჰყვეთ ოკუპანტს ისტორიულ სანაგვეზე“

პარტია „დროას“ ლიდერი ელენე ხოშტარია ოკუპირებულ აფხაზეთში გამოცხადებულ სამხედრო გაწვევას ეხმაურება და აცხადებს, რომ რუსეთში მიმდინარე მობილიზაციის ფონზე ჩნდება საგანგაშო ეჭვი, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ახალგაზრდები „ამ დანაშაულებრივ ომში უკრაინაში საზარბაზნე ხორცად იქნებიან გამოყენებული“.





ხოშტარიამ ოკუპირებულ აფხაზეთში მცხოვრებლებს მიმართა და მოუწოდა, რომ ინდივიდუალური გადაწყვეტილება მიიღონ და „ოკუპანტს ამ ისტორიულ სანაგვეზე არ ჩაჰყვნენ“.

— ვალდებულად ვთვლი თავს, რომ მივმართოთ, როგორც საერთაშორისო თანამეგობრობას, ასევე აფხაზეთში საოკუპაციო რეჟიმის პირობებში მცხოვრებ ჩვენს თანამოქალაქეებს:

პირველი: საოკუპაციო რეჟიმი არის საერთაშორისო სამართლებრივად პასუხისმგებელი იმ ადამიანების სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე, რომლებიც იქ ცხოვრობენ და ჩვენ არ ვაპირებთ, რომ მათ ეს უფლება დაუსჯელად დავუტოვოთ. მათ ჩვენი თანამოქალაქეების უფლებების დარღვევაზე და სიცოცხლის ხელყოფაზე პასუხისგება აუცილებლად მოუწევთ.

მეორე: მე მინდა, აფხაზებს მივმართო, რომლებიც დღეს ამ საფრთხის წინაშე არიან. დღეს რუსეთი არის კატასტროფული სამხედრო, პოლიტიკური, ისტორიული, მორალური კრახის წინაშე. უკრაინა ამ ომში იმარჯვებს და რუსეთი პოლიტიკურ და ისტორიულ სანაგვეზე დარჩება. ეს იქნება დანგრეული ქვეყანა და არავითარ შემთხვევაში ჩვენი ოკუპირებული ქვეყნის ნაწილი ამ ნანგრევებში არ უნდა მოჰყვეს. აქედან გამომდინარე, ვერ ვაკონტროლებთ იქ სიტუაციას, მაგრამ მოგმართავთ, მიიღეთ ინდივიდუალური გადაწყვეტილება და არ ჩაჰყვეთ ოკუპანტს ამ ისტორიულ სანაგვეზე.

მესამე: მე მინდა, ასევე მათ მივმართო, რომ არ წავიდნენ საზარბაზნე ხორცად. ჩვენ მზად ვართ, რომ ეს ადამიანები საქართველოში მივიღოთ და მათ ჯანმრთელობაზე, სიცოცხლესა და ყველანაირ უფლებაზე ვიზრუნოთ, — განაცხადა ელენე ხოშტარიამ.

# ხატია დეკანოიძე: „თუ სასამართლოში დარჩება „კლანი“, რეკომენდაცია შესრულებულად არ ჩაითვლება — მმართველმა გუნდმა შელამაზებული და ფასადური რეფორმა წარმოადგინა“

— თუ სასამართლოში დარჩება „კლანი“ და მას რეფორმა არ შეეხება, რეკომენდაცია შესრულებულად არ ჩაითვლება — მმართველმა გუნდმა ფასადური რეფორმა წარმოადგინა, — ასე გამოეხმაურა ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე ხატია დეკანოიძე ჟურნალისტებთან სასამართლო რეფორმასთან დაკავშირებით „ქართული ოცნების“ მიერ წარმოდგენილ სტრატეგიას.

დეკანოიძის თქმით, სტრატეგიაში გათვალისწინებული არ არის საერთაშორისო პარტნიორების რეკომენდაციები იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან დაკავშირებით.

— ისინი არ ეხებიან „კლანს“ და არ ცვლიან არჩევის წესს. ეს არის ძალიან ნიშანდობლივი. ასევე არ ეხებიან იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, რომელიც იყო ერთ-ერთი ნიშანდობლივი შენიშვნა ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების მხრიდან. მათ („ქართულ ოცნებას“) არ უნდათ, შეიცვალოს დანიშვნის წესი, რადგან ეს დიდ დარტყმას მიაყენებს „კლანს“, რომელიც არსებობს სასამართლოში. ჩვენ გვექნება ჩვენი შენიშვნები საერთო სასამართლოების კანონში, იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან დაკავშირებით, ასევე ასეთი შენიშვნები ჰქონდა სამოქალაქო სექტორსაც, რაც არ გაითვალისწინეს. ძალიან კონკრეტული ინიციატივები და მათ შორის შემოთავაზებები არსებობს ევროკავშირისა და საერთაშორისო პარტნიორებისგან. მაგალითად, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტისგან, არასამთავრობო სექტორისგან, რომელიც შეეხება, თუნდაც იუსტიციის უმაღლეს საბჭოს. თუ სასამართლოში დარჩება „კლანი“ და მას არ შეეხება რეფორმა, რა თქმა უნდა, ეს რეკომენდაცია არ ჩაითვლება შესრულებულად, ამიტომ ასეთი შელამაზებული და ფასადური რეფორმა წარმოადგინა ახლა მმართველმა გუნდმა, — განაცხადა დეკანოიძემ.

ცნობისათვის, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ბრიფინგზე ისაუბრა იმ სტრატეგიის თაობაზე, რომელიც სასამართლო რეფორმასთან დაკავშირებით მომზადდა. მისი თქმით, ისეთი შემოთავაზებები, როგორებიც არის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ სხვადასხვა გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო კვორუმის გაზრდა, ე.წ. ორმაგი 2/3 და სასამართლოს თავმჯდომარეთა არჩევის წესის შეცვლა, „არის საქართველოს კონსტიტუციასთან შეუსაბამო, არ ეფუძნება დამკვიდრებულ საერთაშორისო პრაქტიკას და საბოლოოდ მართლმსაჯულების შეფერხებასა და სასამართლოში მისთვის შეუფერებელი პოლიტიკური პროცესების გალვივებას გამოიწვევს. აქედან გამომდინარე, ასეთი ტიპის ცვლილებები მიღება გათვალისწინებული არ იქნება“.

# პროდუქტები, რომლებიც სექტემბერში ყველაზე მეტად გაძვირდა

2022 წლის სექტემბერში, წინა თვესთან შედარებით, ინფლაციის დონემ საქართველოში – 0.8 პროცენტი, ხოლო წლიური ინფლაციის დონემ 11.5 პროცენტი შეადგინა.

ინფორმაციას საქსტატის ოფიციალური სამსახური ავრცელებს.

„ბიზნესპრესნიუსი“ გთავაზობთ ათი პროდუქტის ჩამონათვალს, რომლებიც მიმდინარე წლის სექტემბერში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ყველაზე მეტად გაძვირდა: სიმინდის ფქვილი – 85.9%-ით; მარგარინი – 43.8%-ით; შესქელებული რძე – 43.6%-ით; ვაფლი კრეკი – 42%-ით; ხორბლის ფქვილი – 41%-ით; მწვანე ლობიო – 40.5%-ით; ნამცხვარი – 38.2%-ით; მანდარინი – 135.1%-ით; მდოგვი – 135%; სულგუნი – 33.6%.

ინფორმაციისთვის, გასული წლის სექტემბერში ყველაზე გაძვირებული პროდუქტები ბადრიჯანი, კიტრი და მზესუმზირის ზეთი იყო.

# „ლუკაშენკო აფხაზეთში ჩასვლით საქართველოს საზოგადოების აღშფოთებას პროვოცირებას უწევს"

## ბელარუსი ოპოზიციონერი: „პუტინისა და ლუკაშენკოს რეჟიმები მალე დაემხობა"

მარიამ მჭედლიშვილი

საქართველოს საზოგადოებას არ განელებია გაშმაგება ბელარუსის პრეზიდენტის (მის ლეგიტიმაციას მსოფლიო არ ცნობს) ოკუპირებულ აფხაზეთში ჩასვლის გამო. ეს 28 სექტემბერს მოხდა. ამ დროს საქართველოს პოლიტიკური სპექტრის ერთი ჯგუფი გადართულია ანტიდასავლური კამპანიის მორიგ ტალღაზე, სხვა ჯგუფები კი ძირითადად დაკავებული არიან პუტინის ძლევამოსილებაზე საუბრებითა და შიდა წეწვა-გლეჯით.

ლუკაშენკოს ამ ნაბიჯს, მის გაორებულ მდგომარეობასა და უკრაინის ომს უკრაინულ მედიასთან აფასებს ბელარუსი ოპოზიციონერი ანატოლი ლებედკო.

***– არის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ბელარუს-რუსეთის დამაკავშირებელ რკინიგზაზე მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები რუსეთის ეშელონების გადასაგზავნად. ვარაუდობენ, რომ პუტინი გეგმავს ახალ შეტევით ოპერაციას რუსეთ-ბელარუსის რეგულარული ჯარის ამოქმედებით. როგორ უყურებთ ამ პერსპექტივას?***

– როცა ორი ავადმყოფი ასაკოვანი ადამიანი ეთამაშება ასანთს, შეიძლება, ყველაფერი მოხდეს. პუტინმაც და ლუკაშენკომაც მიაჩვიეს მსოფლიო, რომ ძალაუფლებით დაავადებულები და არაპროგნოზირებადები არიან. ამიტომ მოვლენათა განვითარების ნებისმიერი სცენარისთვის მზად უნდა ვიყოთ. სანამ შეკითხვას ბოლომდე ვუპასუხებდე, გავიხსენოთ ლუკაშენკოს გამგზავრება სოჭში. იქ ის პუტინმა გამოიძახა. ჯაჭვი, რომლითაც პუტინს ლუკაშენკო ჰყავს გამობმული, არასდროს ყოფილა ასეთი მოკლე. მას მანევრისათვის მინიმალური სივრცე დარჩა.

მთელი რიგი მიზეზების გამო ლუკაშენკოს სურს, თავიდან აიცილოს ბელარუსის არმიის პირდაპირი შეჯახება უკრაინასთან. ის თანახმაა, იყოს პუტინის მოკავშირე, მაგრამ არ თანხმდება, რომ გახდეს აგრესიის თანამონაწილე. ეს არის პირდაპირი სვლა ნიურნბერგისა და ჰააგისკენ. ბელარუსში ადამიანების უდიდესი უმრავლესობა (მათ შორის, ლუკაშენკოს მცირერიცხოვანი მხარდამჭერები) კატეგორიული წინააღმდეგია ომში ბელარუსების რაიმე სახით მონაწილეობისა. ლუკაშენკო იძულებულია, ამას ანგარიში გაუწიოს.



### „ბელარუსის არმია პრორუსული არ არის"

ვფიქრობ, რომ ლუკაშენკოს ასევე აფრთხობს პუტინის განზრახვა, გაანადგუროს ბელარუსის არმია. ბელარუსის არმია პრორუსული არ არის. მხედველობაში არ მყავს გენერალიტეტი.

პუტინს ამოძრავებს ბელარუსის ინკორპორაციის გეგმები. ამისათვის მას სჭირდება, რომ ლუკაშენკო მაქსიმალურად დასუსტებული იყოს. ბელარუსის 15-ათასიანი არმია არაფერს წყვეტს იმ დროს, როცა პუტინი რუსეთში მილიონის მობილიზაციას ახორციელებს. იმის ალბათობა კი არსებობს, რომ გაწვევის შემთხვევაში ბელარუსები გაიფანტებიან ან გადავლენ უკრაინის მხარეს და გახდებიან კალინოვსკის პოლკის წევრები.

ერთი მხრივ, ვხედავთ პუტინის სტრატეგიულ მიზანს, მაქსიმალურად გააძლიეროს თავისი ყოფნა ბელარუსში და გასვაროს ბელარუსები სისხლში, მეორე მხრივ კი პუტინს უნდა იმ არმიის განადგურება, რომელიც ლუკაშენკოსთან უფრო ახლოსაა, ვიდრე კრემლთან და პუტინთან.

ამ სიტუაციაში ლუკაშენკო წავა რაღაც დათმობებზე და ამას პუტინს მიჰყიდის. მაგალითად, ის გაემგზავრა აფხაზეთში. ადრე ეს შეუძლებელი იყო. დღეს მან ეს გააკეთა, როგორც ვასალმა. გასაგებია, რომ იგი ახდენს საქართველოს აღშფოთების პროვოცირებას საზოგადოების დონეზე. ლუკაშენკო ცდილობს, პუტინს მიჰყიდოს რაღაც მოქმედებები, რათა არ დაუშვას საკუთარი მონაწილეობა ომში.

შესაძლოა, კომპრომისის სახით მოხდეს პროვოკაციები ბელარუსის მხრიდან.

***– ხომ არ მიიჩნევთ, რომ პუტინს შეუძლია მოახდინოს მისთვის უხერხული ლუკაშენკოს ლიკვიდაცია ან პოსტიდან მოშორება?***

– სიტუაცია ერთმნიშვნელოვანი არ არის. ჩვენთან ხელისუფლება პერსონალისტურია. ყველაფერი დგას ლუკაშენკოზე, რომელიც სარგებლობს პუტინის მხარდაჭერით.

ლუკაშენკოს ჩამოშორება ნიშნავს, რომ უნდა გაიხსნას კიდევ ერთი, ბელარუსის ფრონტი. მზადაა თუ არა ამისათვის პუტინი, ძნელი სათქმელია. პუტინისთვის უმჯობესი იქნებოდა ლუკაშენკოსთვის კისრის მოგრეხა გარემოცვის დახმარებით. ბელარუსის კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებების თანახმად, ასეთ შემთხვევაში ხელისუფლება გადადის კოლექტიური უშიშროების საბჭოს ხელში. იქ არიან პრორუსი პირები, ძალოვნები, რომელთა მეშვეობით კრემლი მოახდენდა გავლენას ქვეყანაზე. ლუკაშენკომ ეს ყველაფერი განჭვრიტა და ზოგიერთი აშკარად პრორუსი თანამდებობას ჩამოაშორა. სხვები დარჩნენ. ამიტომ ლუკაშენკო ფხიზლადაა.

***– მობილიზაციის გამოცხადების შემდეგ რუსეთში პროტესტი აგორდა. თუ პუტინი ვერ შეინარჩუნებს ხელისუფლებას, თუ მისი რეჟიმი დაემხობა, მას ლუკაშენკოს რეჟიმიც მიჰყვება?***

– ეს იმაზე მალე მოხდება, ვიდრე ჩვენ ვვარაუდობთ. შეინიშნება რუსების დიდი გადასახლება. რუსები ქვეყნიდან გარბიან. ეს კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, თუ სადამდე მიიყვანა პუტინმა ქვეყანა.

# სათამაშო ბიზნესის ბრუნვა 48 მლრდ-ს აღწევს



აზარტული თამაშების საქმიანობებით დაკავებულ საწარმოთა ბრუნვა რეკორდულად იზრდება. 2021 წელს სათამაშო ბიზნესის ბრუნვამ 47.938 მლრდ ლარი შეადგინა. ეს კი 2020 წლის მონაცემებთან შედარებით 15.847 მლრდ ლარით, 2019 წელთან შედარებით კი 22.078 მლრდ ლარით მეტია. მთლიანად კი გასულ წელს სათამაშო ბიზნესის წილი ბიზნესსექტორის მთლიან ბრუნვაში 32%-მდე გაიზარდა. ცნობისათვის, 2020 წელს ეს მაჩვენებელი 28% იყო, 2019 წელს კი – 23,7%.

როგორც ამ რიცხვებიდან ჩანს, საქართველოში აზარტული თამაშები კვლავ ერთ-ერთი ყველაზე მომგებიანი ბიზნესია და მისი ბრუნვა ყოველწლიურად რეკორდულად იმატებს.

რაც შეეხება სხვა მონაცემებს – საქსტატის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, 2021 წელს აზარტულ ბიზნესში სულ 9.868 ადამიანი მუშაობდა, საშუალო ხელფასი 1.881 ლარს შეადგენდა. ამასთან, შარშან ამ სექტორში 93 მლნ ლარის ინვესტიცია განხორციელდა.

ალსანიშნავია, რომ პანდემიურ 2021 წელს საქართველოში მთლიანად ბიზნესსექტორის ბრუნვამ 150.4 მლრდ ლარი შეადგინა, ამაში სათამაშო ბიზნესის წილი კი თითქმის 32% შეადგენს. ქვეყანაში, სადაც აზარტული თამაშებით არაერთმა ადამიანმა დაკარგა ქონება, სათამაშო ბიზნესი უფრო დიდია, ვიდრე მშენებლობა, დამამუშავებელი მრეწველობა, ენერგორესურსების ბაზარი და ა.შ. სათამაშო ბიზნესზე მეტი ბრუნვა წილობრივად მხოლოდ ვაჭრობის დარგზე მოდის – 36.4%-ით (54.678 მლრდ ლარის ბრუნვა 2021 წელს).

ცნობისათვის, 2018 წლიდან აზარტული თამაშების საქმიანობით დაკავებული საწარმოების საქმიანობის შეფასება დაიწყო ახალი მეთოდოლოგიით. 2018 წლამდე აღნიშნული სექტორის საწარმოების ბრუნვის მოცულობაში აისახებოდა მხოლოდ მოთამაშეთა მიერ ჩარიცხული თანხის მოცულობა, ხოლო ახალი მეთოდოლოგიის მიხედვით, რომლითაც საქსტატი უკვე 2018 წლიდან ხელმძღვანელობს, აღნიშნულ თანხასთან ერთად ბრუნვის მოცულობაში აისახება მოთამაშეთა მიერ ყოველ ჯერზე დადებული ფსონების ჯამი.

# ვოლოდიმირ ზელენსკი არხანგელსკისა და მიროლიუბოვკის დასახლებების გათავისუფლებას ადასტურებს



უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ ხერსონის ოლქის ორი დასახლების – არხანგელსკისა და მიროლიუბოვკის გათავისუფლების შესახებ ინფორმაცია ოფიციალურად დაადასტურა.

– მადლობა ჩემი მშობლიური კრივოი როგის 129-ე ბრიგადის ჯარისკაცებს, რომლებიც გამოირჩეოდნენ კარგი შედეგებით და გაათავისუფლეს არხანგელსკი და მიროლიუბოვკა, – განაცხადა ზელენსკიმ.

შეგახსენებთ, 1-ელ ოქტომბერს უკრაინამ დონეცკის ოლქის ქალაქი ლიმანი გაათავისუფლა, რომელიც რუსულმა ძალებმა მაისში დაიპყრეს და დონეცკის ოლქის ჩრდილოეთში ოპერაციებისთვის ლოჯისტიკურ და სატრანსპორტო ჰაბად იყენებდნენ.

# იანვრიდან სასწრაფო დახმარების პერსონალის ხელფასი — 10%-ით, ხოლო სოფლის ექიმებისა და ექთნების ანაზღაურება 100 ლარით გაიზრდება

იანვრიდან სასწრაფო დახმარების პერსონალის ხელფასი 10%-ით, ხოლო სოფლის ექიმებისა და ექთნების ანაზღაურება 100 ლარით გაიზრდება. აღნიშნულს გულისხმობს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი.




ბიუჯეტის პროექტის თანახმად, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით მიემართება – 1.499.100.000 ლარი, მათ შორის საყოველთაო ჯანდაცვის დაფინანსება შეადგენს 850 მლნ ლარს, ხოლო ახალი კორონავირუსული დაავადების – COVID 19-ის მართვისთვის გამოყოფილია 120 მლნ ლარი, მათ შორის 55 მლნ ლარზე მეტი გათვალისწინებულია ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB) მიერ გამოყოფილი რესურსის ფარგლებში ჯანდაცვის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისათვის (ძირითადად ინფექციური საავადმყოფოს აღჭურვა).

როგორც პროექტის განმარტებით ბარათშია აღნიშნული, პროგრამის ფარგლებში ასევე გათვალისწინებულია სასწრაფო დახმარების სამსახურის პერსონალის ხელფასების 10%-იანი ზრდა, ხოლო სოფლის ექიმებისა და ექთნების ანაზღაურების – 100 ლარით.

# საქსტატი: „საშუალო ხელფასი ბიზნესსექტორში 124.7 ლარით გაიზარდა და 1.347.6 ლარს გაუტოლდა"

ბიზნესსექტორის ბრუნვის მოცულობა 2021 წელს, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 31.5 პროცენტით გაიზარდა და 150.4 მილიარდი ლარი შეადგინა. ამის შესახებ ინფორმაციას სტატისტიკის ეროვნული სამსახური ავრცელებს.

მათივე ცნობით, ზრდის ტენდენციით ხასიათდება ბიზნესსექტორის პროდუქციის გამოშვების მაჩვენებელიც. 2021 წელს მისი მოცულობა 57.6 მილიარდი ლარით განისაზღვრა, რაც 24.6 პროცენტით აღემატება გასული წლის მაჩვენებელს.

საქსტატის მონაცემებით, 2021 წელს დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 744.3 ათასი კაცით განისაზღვრა, რაც გასული წლის მაჩვენებელს 5.7 პროცენტით აღემატება. დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობიდან 42 პროცენტი ქალია, ხოლო 58 პროცენტი – კაცი.

დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის 38.2 პროცენტი მსხვილ ბიზნესზე მოდის, 19.7 პროცენტი – საშუალოზე, ხოლო დარჩენილი 42.1 პროცენტი – მცირე ბიზნესზე.

ამასთან, დაქირავებულთა მთლიანმა რაოდენობამ 688.1 ათასი კაცი შეადგინა (გასულ წელთან შედარებით – 4.8 პროცენტით მეტი). საწარმოთა მთლიანი დანახარჯები პერსონალზე 11 357.8 მლნ ლარით განისაზღვრა (გასულ წელთან შედარებით, 15.6 პროცენტით მეტი).

2021 წელს საშუალო თვიური ხელფასი ბიზნესსექტორში 1.347.6 ლარს გაუტოლდა, რაც გასულ წელთან შედარებით 124.7 ლარით მეტია. მათ შორის ქალების ხელფასმა შეადგინა 1.064.3 ლარი, რაც გასულ წელთან შედარებით 112.3 ლარით გაზრდილი მაჩვენებელია.

საწარმოთა ზომის მიხედვით საშუალო თვიური ხელფასი შემდეგნაირია:

მსხვილი ბიზნესი – 1.515.4 ლარი, საშუალო ბიზნესი – 1.616.9 ლარი, მცირე ბიზნესი – 1.008.4 ლარი.

# პროდუქტები, რომლებიც სექტემბერში გაიაფდა

2022 წლის სექტემბერში, წინა თვესთან შედარებით, ინფლაციის დონემ საქართველოში – 0.8 პროცენტი, ხოლო წლიური ინფლაციის დონემ 11.5 პროცენტი შეადგინა.

ინფორმაციას სტატისტიკის ეროვნული სამსახური ავრცელებს.

„ბიზნესპრესნიუსი" გთავაზობთ იმ 9 პროდუქტის ჩამონათვალს, რომლებიც მიმდინარე წლის სექტემბერში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ყველაზე მეტად გაიაფდა.

ჭარხალი – 15.1%-ით; მწვანილი – 14.7%-ით; ბადრიჯანი – 12.7%-ით; ლიმონი – 10.5%-ით; კომბოსტო – 9.8%-ით; სტაფილო – 9.3%-ით; კარტოფილი – 8.6%-ით; კივი – 8.1%ით; ყურძენი – 3.9%-ით.

# თეირანში უნივერსიტეტის მომიტინგე სტუდენტებსა და პოლიციას შორის შეტაკება მოხდა

ირანის დედაქალაქ თეირანის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ, „შარიფის" უნივერსიტეტში პოლიციასა და მომიტინგე სტუდენტებს შორის შეტაკება მოხდა.

სოციალურ მედიაში გავრცელებულ ვიდეოკადრებში ჩანან სტუდენტები, რომლებიც გაურბიან უსაფრთხოების ძალებს. ისმის სროლის ხმა.



Iran International-ის ინფორმაციით, უსაფრთხოების ძალები თავს დაესხნენ სტუდენტურ საერთო საცხოვრებელს და ცეცხლსასროლი იარაღიდანაც ისროდნენ. სხვა ცნობებში საუბარია მომიტინგეების წინააღმდეგ ცრემლსადენი გაზის გამოყენებაზე.

შეგახსენებთ, ირანში საპროტესტო აქციები 22 წლის ქალის, მაჰსა ამინის გარდაცვალების შემდეგ დაიწყო. გოგონა ზნეობის პოლიციამ ჰიჯაბის „არასათანადო ტარების" გამო დააკავა. ის განყოფილებაში გადაიყვანეს, სადაც რამდენიმე დღეში გარდაიცვალა.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ირანის ადამიანის უფლებები" აცხადებს, რომ საპროტესტო აქციების დაწყების შემდეგ ქვეყანაში 133 ადამიანი დაიღუპა.

## თბილისში, ზესტაფონის ქუჩაზე, მამაკაცის დაჭრის ფაქტზე 1 პირი დააკავეს



თბილისში, ზესტაფონის ქუჩაზე, ცივი იარაღის გამოყენებით მამაკაცის დაჭრის ფაქტზე 1 პირი დააკავეს. ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 2004 წელს დაბადებული თ.ნ. ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 1-ელ ოქტომბერს, თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ზესტაფონის ქუჩაზე, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე 1991 წელს დაბადებული ლ.ჭ. ცივი იარაღის გამოყენებით დაჭრა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილ მამაკაცს შესაბამისი სამედიცინო დახმარება ჩაუტარდა, მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

სამართალდამცველებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად თ.ნ. ბრალდებულის სახით დააკავეს.

ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

## შალვა ხაჭაპურიძე: „სააკაშვილის ამერიკელ ადვოკატს სასამართლო პროცესზე გამოსვლის უფლება არ ექნება“



საქართველოს მესამე პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ადვოკატ შალვა ხაჭაპურიძის განცხადებით, ამერიკელი ადვოკატი, მასიმო დანჯელო, რომელიც კლინიკა „ვივამედში“ მიხეილ სააკაშვილის მოსანახულებლად შევიდა, ძალიან გამოცდილი და კვალიფიციურია და ისინი დღეს სამართლებრივ საკითხებზე ისაუბრებენ.

როგორც ხაჭაპურიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, აღნიშნული ადვოკატი წარმოადგენს დასკვნას, სადაც აღწერილი იქნება ამერიკის და საერთაშორისო სამართლის პრაქტიკა მსგავსი ტიპის საქმეებზე.

– ადვოკატს ძალიან დიდი გამოცდილება აქვს მსგავსი ტიპის საქმეებზე მუშაობის, ბევრი ცნობილი ადამიანის საქმეში იყო ჩართული. ამ საქმეში ჩაერთო, როგორც ამერიკელი ადვოკატი, თუმცა ჩვენი კანონმდებლობით, მას სასამართლო პროცესზე გამოსვლის უფლება არ ექნება, ამიტომ, იგი წარმოადგენს სასამართლოში „სასამართლო მეგობრის“ დასკვნას, სადაც აღწერილი იქნება აშშ-ის პრაქტიკა მსგავსი ტიპის საქმეებზე და საერთაშორისო სამართლის პრაქტიკა. სამართლებრივ საკითხებზე ექნება მიხეილ სააკაშვილთან საუბარი.

მუხლი, რომელზეც ჩვენ ვსაუბრობთ, 238-ე, ერთადერთია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, სადაც სამართალი და მედიცინა გაერთიანებულია. ამდენ ხანს საქართველოში რაიმე კონკრეტული მყარი პრაქტიკა ჩამოყალიბებული არ იყო. ამ საქმეზე ეს პრაქტიკა ჩამოყალიბდა და ძალიან საინტერესო პროცესი იქნება, თუ საბოლოოდ საექსპერტო დასკვნაში აღნიშნული იქნება, რომ მძიმე ავადმყოფი არის. რაც შეეხება საექსპერტო დასკვნას, დღეს ან ხვალ ჩამოვა ორი ექსპერტი. მომდევნო კვირის დასაწყისში საექსპერტო სამუშაო ბატონ სააკაშვილთან უკვე დამთავრებული იქნება. დაველოდებით მათ წერილობით დოკუმენტაციას, რომელიც ძალიან შემჭიდროებულ ვადებში იქნება, რადგან ეს ექსპერტები საქმის მასალებს იცნობენ. მოთხოვნა იყო, რომ პირადად შეხვედროდნენ და გაესინჯათ პაციენტი, – განაცხადა ხაჭაპურიძემ.

მისი თქმით, 4 ოქტომბერს კლინიკაში სააკაშვილის მოსანახულებლად ნევროლოგი უნდა შევიდეს, ასევე ელოდებიან ნებართვას უცხოელი გასტროენტეროლოგის ჩართვაზეც. როგორც ადვოკატმა აღნიშნა, პროცესში ასევე ჩართული არიან ცნობილი ქართველი ექიმები და ექსპერტები და მათი ვინაობა ამ დღეებში გახდება ცნობილი.

## აფგან მუხთარლის გატაცების საქმეში ახალი გვარები დასახელდა



აფგან მუხთარლის გატაცების საქმეში კიდევ ერთი, ახალი ფიგურანტი ჩნდება – სუს-ის ყოფილი უფროსის, სოსო გოგაშვილის ინფორმაციით, აზერბაიჯანელი ჟურნალისტის გატაცებაში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის უფროს ოთარ კუპრაშვილთან და გიორგი ტრაპაიძესთან ერთად, ზვიად ბალარჯიშვილიც მონაწილეობდა.

ირკვევა, რომ ბალარჯიშვილი ამ დრომდე კონტრდაზვერვის დეპარტამენტში მუშაობს. მის შესახებ ინფორმაციის მოძიებისას აღმოჩნდა, რომ ზვიად ბალარჯიშვილი დედაქალაქსა და მის შემოგარენში არაერთ უძრავ ქონებას ფლობს.

მის სახელზეა რეგისტრირებული ვაკე-საბურთალოს გზაზე მდებარე მ2-ის კორპუსში, მეთექვსმეტე სართულზე მდებარე ბინა, რომელიც რუსეთის მოქალაქეზე აქვს გაქირავებული.

ეს არ არის ერთადერთი ქონება, რომელსაც ბალარჯიშვილი ფლობს. სუს-ის მაღალჩინოსანი 33 კვადრატულ კომერციულ ფართს ფლობს ჭავჭავაძის გამზირზე, რომელიც ამჟამად გაქირავებული აქვს.

ზვიად ბალარჯიშვილის სახელზეა რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი წავკისშიც. ეს უკანასკნელი ოთარ ფარცხალაძის მეზობელია. მის ქონებათა ჩამონათვალშია გალის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი სახლიც.

„შაბათის ეთერის“ გამომძიებელმა ჟურნალისტებმა საიდუმლო სპეცოპერაციაში მონაწილე ოთხი გვარი დაადგინეს. აქედან მინიმუმ ორი სუს-ის მოქმედი თანამშრომელია, თუმცა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური დუმილის რეჟიმშია გადასული.

აზერბაიჯანელმა ჟურნალისტმა ერთი გამტაცებელი „შაბათის ეთერიდან“ ამოიცნო. ჟურნალისტმა ხელი კონტრდაზვერვის უფროს გიორგი ტრაპაიძეს დაადო.

## პროკურატურამ ოჯახში ძალადობის ფაქტზე ბათუმის მერიის ყოფილ თანამშრომელს ბრალდება წარუდგინა



პროკურატურამ ოჯახში ძალადობის ფაქტზე ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის არასამეწარმეო იურიდიული პირის „ბათუმის სპორტული ცენტრისა“ და „ბათუმის ავტოდრომის“ ყოფილ თანამშრომელს ბრალდება წარუდგინა. ინფორმაციას ამის შესახებ პროკურატურა ავრცელებს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მეუღლის მიმართ სხვადასხვა დროს, ფიზიკური ძალადობა განახორციელა.

სამართალდამცველებმა ბრალდებული დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით (ოჯახში ძალადობა, (სამი ეპიზოდი)) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად ორ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე, ბათუმის საქალაქო სასამართლომ ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

## რატომ დაიჭირეს სახელმწიფო დაცვის მაღალჩინოსანი

სახელმწიფო დაცვის სამსახურის ყოფილი მაღალჩინოსნის მირიან ჯავახიშვილის ადვოკატები სასამართლო გადაწყვეტილებას შიმშილობით აპროტესტებენ. უფლებადამცველები სახალხო დამცველის ოფისთან მივიდნენ და საქმეში ომბუდსმენის ჩართვა მოითხოვეს.

ადვოკატი „ტვ პირველთან“ ამბობს, რომ ანზორ ჩუბინიძის მოთხოვნით ჯავახიშვილი მატროსოვის ციხის სამარტოო საკანში გადაიყვანეს.

უფლაბადამცველის მტკიცებით, სისტემამ მირიან ჯავახიშვილის წინააღმდეგ ბრძოლა მას შემდეგ დაიწყო, რაც სახელმწიფო დაცვის სამსახურის ყოფილი მაღალჩინოსანმა ანზორ ჩუბინიძის გადაწყვეტილება გააპროტესტა. მათ შორის იყო სალომე ზურაბიშვილის მცველად სრულიად გამოუცდელი ადამიანის გამწესება.



ამის შემდეგ, ადვოკატების მტკიცებით, ნათია დოლანაძემ ერთ-ერთ ხელმძღვანელს პირადი ცხოვრების გავრცელების გამო უჩივლა, თუმცა დაკავებულის ადვოკატები აცხადებენ, რომ ეს ბლეფია და დოლანაძემ ანზორ ჩუბინიძესთან ერთად ურჩ თანამშრომელს შეთქმულება მოუწყო.

– ამ ადამიანის იზოლირება ანზორ ჩუბინიძის ხუშტურია. ჯავახიშვილი, იმის გამო დაისაჯა, რომ სამსახურის ნგრევას შეეწინააღმდეგა. ჩუბინიძისა და მისი ინტერესები რომ გადაიკვეთა, ჩუბინიძემ ნათია დოლანაძე გამოიყენა პირადი შურისძიებისთვის, – განაცხადა ადვოკატმა.

მოსამართლემ ჯავახიშვილს 6 წლით პატიმრობა მიუსაჯა.

მირიან ჯავახიშვილის ოჯახი პროკურატურისგან ითხოვს, ნათია დოლანაძის წინააღმდეგ გამოძიება დაიწყოს, ხოლო სახელმწიფო დაცვის სამსახურის უფროსმა თანამდებობა დატოვოს.

ნათია დოლანაძის შესახებ ხმაურიანი ჟურნალისტური გამოძიება „ნოდარ მელაძის შაბათმა“ რამდენიმე თვის წინ ჩაატარა.

გამოძიებით ირკვეოდა, რომ პრეზიდენტს ემსახურებოდა სპეცსამსახურების თანამშრომელი, რომელსაც არავითარი გამოცდილება არ ჰქონდა და მისაღებ გამოცდებში ჩაიჭრა კიდეც.

## სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა ახალი ბრენდის სახელმძღვანელო შექმნა და ბრენდირების პროცესი დაასრულა

სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა ბრენდირების ახალი სტრატეგია მაისში შეიმუშავა და ბრენდირების პროცესის სისტემატიზაციას უკვე დღეიდან უზრუნველყოფს. ამის შესახებ ინფორმაციას სპეციალური საგამოძიებო სამსახური ავრცელებს.

როგორც უწყება განმარტავს, აღნიშნული სტრატეგიის ეფექტიანად განხორციელება სამსახურის განვითარებისთვის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს.

– ბრენდინგის პროცესში მნიშვნელოვანი იყო სამსახურის იდენტობაზე ყურადღების გამახვილება, რომელიც იქნებოდა ახალი დამოუკიდებელი საგამოძიებო სამსახურის სახე და ჩაერთვებოდა საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში.

ბრენდირების სტრატეგიის ფარგლებში შეიქმნა ახალი ლოგო, დაიბრენდა განახლებული ავტოპარკის მანქანები, თანამშრომლებისთვის დამზადდა სპეციალური ბრენდირებული ტანსაცმელი/ფორმები – ჟილეტები, მაისურები, ლაბადები, ქუდები და სხვა.

ლოგოს შექმნის პროცესში მნიშვნელოვანი იყო სწორი, ძლიერი და დასამახსოვრებელი ვიზუალის შექმნა, რომელიც მარტივი აღსაქმელი იქნებოდა საზოგადოებისთვის და ჩამოუყალიბებდა ნდობას სამსახურის მიმართ.

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ემბლემა წარმოადგენს ლაჟვარდის არშიით შემოსაზღვრულ დაშვებულ ხმალზე განთავსებულ გადაშლილ წიგნს, რომლის მარცხენა გვერდზე გამოსახულია საქართველოს სახელმწიფო დროშის ხუთჯვრიანი კომპოზიცია, ხოლო ხმლის ზემოდან გამოსახულია სტილიზებული ივერიული გვირგვინი.

სპეციალური საგამოძიებო სამსახური, მისი შექმნის დღიდან, საქმიანობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, სხვადასხვა ღონისძიებებს აქტიურ რეჟიმში ახორციელებს. დღეიდან ამ პროცესს დასამახსოვრებელი ვიზუალითა და ახალი იმიჯით გააგრძელებს.

უახლოეს მომავალში ახალი ბრენდბუქის ქვეშ დაგეგმილია სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ვებ-გვერდის – www.sis.gov.ge განახლება, – ნათქვამია უწყების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.




### საზოგადოება

## სხვადასხვა სამუშაოს ჩატარების გამო 5 ოქტომბერს ელექტრომომარაგება დროებით შეიზღუდება

სხვადასხვა სამუშაოს ჩატარების გამო 5 ოქტომბერს ელექტრომომარაგება დროებით შეიზღუდება. ამის შესახებ ინფორმაციას „თელასი“ ავრცელებს.

მათი ინფორმაციით, **ნაძალადევის რაიონში** გადაუდებელი სამუშაოების გამო 10:00 საათიდან 15:00 საათამდე შეზღუდვა შეეხება: ცოტნე დადიანის, სააკაძის, ჯავის, მოლოკოვის, გრუზინსკის, იმერეთის, ღოღობერიძის, ბეჟანიშვილის, ტოროშელიძის, ქსოვრელის, ქართველიშვილის, ღრმაღელის, ქართლის, ილურიძის, დაისის, თმოგვის, მუხრანის, სვირის, ლომთათიძის, ზედაზენის, დიდი ჯიხაიშისა და ნათაძის ქუჩების მოსახლეობას.

**საბურთალოს რაიონში** გადაუდებელი სამუშაოების გამო 10:00 საათიდან 18:00 საათამდე შეზღუდვა შეეხება: გოთუასა და შარტავას ქუჩების მოსახლეობას.

გადაუდებელი სამუშაოების გამო 11:00 საათიდან 18:00 საათამდე შეზღუდვა შეეხება: **აღმაშენებლის ხეივნის (ნაწილობრივ), სოფელი დიღმისა (ნაწილობრივ) და დემეტრე თავდადებულის ქუჩის მოსახლეობას**.

**მთაწმინდის რაიონში** გადაუდებელი სამუშაოების გამო 10:00 საათიდან 18:00 საათამდე შეზღუდვა შეეხება: ჭოველიძის, ბელინსკის, ზანდუკელის, ერისთავი-ხოშტარიას, ბარნოვის, გოგებაშვილისა და კერესელიძის ქუჩების მოსახლეობას.

**ვაკის რაიონში** გადაუდებელი სამუშაოების გამო 10:00 საათიდან 16:00 საათამდე შეზღუდვა შეეხება: ჭაბუა ამირეჯიბის გზატკეცილის (ნაწილობრივ), ატენისა და რამიშვილის ქუჩების მოსახლეობას.

**კრწანისის რაიონში** გადაუდებელი სამუშაოების გამო 10:00 საათიდან 18:00 საათამდე შეზღუდვა შეეხება: მეფე სოლომონ II-ისა და კრწანისის ქუჩების მოსახლეობას.

**ჩუღურეთის რაიონში** გადაუდებელი სამუშაოების გამო 10:00 საათიდან 18:00 საათამდე შეზღუდვა შეეხება: აღმაშენებლის გამზირისა (ნაწილობრივ) და მარჯანიშვილის ქუჩის მოსახლეობას.

**დიდუბის რაიონში** ქსელში გადართვების გამო 00:00 საათიდან 03:00 საათამდე შეზღუდვა შეეხება: აღმაშენებლის ხეივნის (ნაწილობრივ), ბელიაშვილის, ლუბლიანას, ბოცვაძის, დისევის, ბოხუას, ტერევენკოსა და ჩაჩავას ქუჩების მოსახლეობას.

გადაუდებელი სამუშაოების გამო 10:00 საათიდან 18:00 საათამდე შეზღუდვა შეეხება: **რობაქიძის ქუჩის მოსახლეობას**.

**ისნის რაიონში** გადაუდებელი სამუშაოების გამო 10:00 საათიდან 18:00 საათამდე შეზღუდვა შეეხება: ვაზისუბნის დასახლების, 17 შინდისელი გმირის, წულუკიძის, ძეგლევის, ჩაჩუას, კალოუბნისა და შანდორ პეტეფის ქუჩების მოსახლეობას.

კომპანია ბოდიშს უხდის მომხმარებლებს შექმნილი დისკომფორტის გამო. სამუშაოების დასრულების შემდეგ აბონენტებს ელექტრომომარაგება აღუდგებათ.

## უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ 54.000-ზე მეტმა უკრაინელმა თავშესაფარი ირლანდიას სთხოვა



უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ 54.000-ზე მეტმა უკრაინელმა თავშესაფარი ირლანდიას სთხოვა. ინფორმაციას მედია ირლანდიის ცენტრალური სტატისტიკის ოფისზე დაყრდნობით ავრცელებს.

ბოლო მონაცემებით, 25 სექტემბრამდე ირლანდიაში უკრაინიდან სულ 54.771 ადამიანი ჩავიდა. მხოლოდ წინა კვირაში – 1.000-ზე მეტი.

დროებითი დაცვის დირექტივის მიხედვით, ყველა უკრაინელს პირადი საჯარო სამსახურის ნომრები მიენიჭა.

ირლანდიაში უკრაინიდან 20 წელზე უფროსი ასაკის ქალები დღემდე ჩასულთა 46%-ს შეადგენენ, მაშინ როცა 0-19 წლამდე ასაკის ორივე სქესის წარმომადგენელი ბავშვებისა და მოზარდების რიცხვი 35%-ია.

## ევროკავშირმა რუსეთის ელჩი ბრიუსელში დაიბარა



ევროკავშირმა რუსეთის ელჩი პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის მიერ უკრაინის ოთხი ტერიტორიის „უკანონო ანექსიის" გამო პროტესტის ნიშნად ბრიუსელში დაიბარა.

ინფორმაციას სააგენტო „ფრანს-პრესი" ავრცელებს.

ევროკომისიის საგარეო ქმედებათა სამსახურის პრესსპიკერმა პიტერ სტანომ განაცხადა, რომ ეს ნაბიჯი ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან კოორდინირებულია.

შეგახსენებთ, 30 სექტემბერს რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა, „დონეცკის სახალხო რესპუბლიკისა" და „ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკის" „ხელმძღვანელებმა" დენის პუშილინმა და ლეონიდ პასეჩნიკმა, ასევე ზაპოროჟიეს ოლქისა და ხერსონის ოლქის მოსკოვის მიერ დანიშნულმა „ხელმძღვანელებმა" ევგენი ბალიცკიმ და ვლადიმირ სალდომ ხელი მოაწერეს ხელშეკრულებებს დონეცკის, ლუგანსკის, ხერსონისა და ზაპოროჟიეს ოლქების რუსეთის შემადგენლობაში შესვლის შესახებ.

რუსეთის პარლამენტის ქვედა პალატამ, სახელმწიფო დუმამ, დაამტკიცა კანონები უკრაინის ოთხი ტერიტორიის ანექსიის შესახებ.

## რამზან კადიროვი: „ჩემი 14, 15 და 16 წლის შვილები უკრაინაში საბრძოლველად მიდიან"



ჩეჩნეთის ლიდერი რამზან კადიროვი ირწმუნება, რომ მისი სამი არასრულწლოვანი ვაჟი უკრაინაში საბრძოლველად მიემგზავრება.

– არასრულწლოვნობამ ხელი არ უნდა შეუშალოს ჩვენი სამშობლოს დამცველების წვრთნას. ახმატი, ელი და ადამი 16, 15 და 14 წლის არიან, მაგრამ მათი სამხედრო მომზადება დიდი ხნის წინ, ადრეული ასაკიდან დაიწყო. არ ვხუმრობ. დადგა დრო, რომ თავი გამოიჩინონ ნამდვილ ბრძოლაში და მე მხოლოდ მივესალმები მათ სურვილს. მალე ისინი ფრონტზე წავლენ და კონტაქტის ხაზის ურთულეს მონაკვეთებზე იქნებიან, – წერს კადიროვი „ტელეგრამზე".

## გერმანია რუსეთის ელჩს საგარეო უწყებაში იბარებს



გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით, რუსეთის ელჩი სერგეი ნეჩაევი უწყებაში დაიბარეს.

მათივე განმარტებით, სამინისტრო რეაგირებას ახდენს რუსეთის მიერ უკრაინის ოთხი რეგიონის ანექსიის გამოცხადებასა და უკრაინაში ომის ესკალაციაზე.

გამოცემა „დოიჩე ველეს" ინფორმაციით, მოსალოდნელია, რუსეთის ელჩები ევროკავშირის სხვა ქვეყნებშიც გამოიძახონ. იტალიამ და ბელგიამ უკრაინის ტერიტორიის ანექსიასთან დაკავშირებით რუსეთის ელჩები უკვე დაიბარეს.

## რუსებმა ზაპოროჟიე S-300 რაკეტებით დაბომბეს. არიან დაშავებულები



რუსმა ოკუპანტებმა გუშინ დილით ზაპოროჟიეს მორიგი დარტყმა მიაყენეს. ამის შესახებ ზაპოროჟიეს მერის მოვალეობის შემსრულებელმა და საქალაქო საბჭოს მდივანმა ანატოლი კურტევმა განაცხადა.

– წინასწარი ინფორმაციით, მტრის დაბომბვის შედეგად განადგურდა ქალაქის ინფრასტრუქტურა. სამწუხაროდ, არიან დაშავებულები. ყველა შესაბამისი სამსახური მუშაობს. უფრო დეტალური ინფორმაცია ზუსტდება, – განაცხადა მან.

ინფორმაცია გაავრცელა ზაპოროჟიეს სამხედრო ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ალექსანდრ სტარუხმაც. მისი თქმით, რუსებმა S-300 ტიპის 10 რაკეტა ისროლეს, რის შედეგადაც რეგიონულ ცენტრში ინფრასტრუქტურული ობიექტები განადგურდა. კერძოდ, სარეაბილიტაციო ცენტრი, სადაც სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვები სწავლობდნენ.

ამ დროისთვის ცნობილია ერთი დაშავებულის შესახებ, რომელიც საავადმყოფოშია გადაყვანილი.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

### კალეიდოსკოპი

## მეთევზეთა ტურნირის მონაწილე დათვრა და სოლიდური პრიზის გარეშე დარჩა



აშშ-ში პროფესიონალი მეთევზე ლოთობის გამო სოლიდური მოგების გარეშე დარჩა და საკუთარ მარცხში ტურნირის ორგანიზატორები დაადანაშაულა.

58 წლის ედვარდ პოლნერმა სასამართლოში უჩივლა კომპანია Tri-State Tournaments-ს, რომელიც მეთევზეთა შეჯიბრებების ორგანიზებითაა დაკავებული. ტურნირი, რომელშიც პოლნერი რუდოლფ ბონიჩელისთან ერთად მონაწილეობდა, ივლისში ლონგ-აიკენდში გაიმართა და მეთევზე პრიზის, 200 ათასი დოლარის გარეშე დარჩა.

მეთევზეთა წყვილმა 88,7– კილოგრამიანი სკუმბრიის დაჭერა მოახერხა, ეს კი მხოლოდ მეოთხე შედეგი აღმოჩნდა ტურნირზე. თუმცა ეს შედეგიც კი სოლიდური პრიზის მიღების შესაძლებლობას იძლეოდა მეთევზეებზე გაკეთებული ფსონების წყალობით. სანამ პოლნერს იახტა დაჭერილი თევზით ნაპირისკენ მიჰყავდა, მან მეწყვილესთან ერთად დათრობა მოასწრო.

მას შემდეგ, რაც მეწყვილეები ნაპირზე გადავიდნენ, კომპანია Tri-State Tournaments-ის წარმომადგენლებმა მათ სიცრუის დეტექტორზე შემოწმების გავლა მოსთხოვეს იმაში დასარწმუნებლად, რომ თევზი ყველა პირობების დაცვით იყო დაჭერილი. მეთევზეებმა ტესტი ჩააგდეს და, შესაბამისად, პრიზიც ვერ მიიღეს.

ამის შემდეგ პოლნერმა გადაწყვიტა, კომპანიისთვის სასამართლოში ეჩივლა, ვინაიდან თვლის, რომ ნასვამებისთვის ასეთი ტესტის ჩატარება არამართლზომიერი იყო. მან საჩივარში ასევე მიუთითა, რომ იახტაზე ალკოჰოლური სასმელი ორგანიზატორების მიერ იყო მიტანილი. უფრო მეტიც, პოლნერმა და ბონიჩელიმ ანალოგიური ტესტი დამოუკიდებელ კომპანიაში წარმატებით გაიარეს, თუმცა კომპანია Tri-State Tournaments-მა მისი შედეგები არ მიიღო.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## დინამოებს შორის სხვაობა არ შეცვლილა



**ტორპედო-დინამო (თბ) 0:0**

**ზესტაფონი. დავით აბაშიძე**

**ტორპედო:** კვასხვაძე, მონტეირო, ნადარაია, გიგაური, გ.კუხიანიძე (ცინცაძე 83), სანდოხაძე, არაბიძე (შულაია 60), გეგეჭკორი, ქიმაძე (ბუღრიძე 83), შერგელაშვილი (ნ.ქავთარაძე 60), კაბალიერო (მჭედლიშვილი 89)

**დინამო:** კუტალაძე, მალი, ხვადაგიანი, მექვაბიშვილი, იმრანი (მოისწრაფიშვილი 68), სხირტლაძე (გაბედავა 74), ტაბიძე, ბარნსი (ოსიყმაშვილი 84), კობოური, კამარა, ანტილევსკი (ოდიშარია 83)

ტურის ცენტრალური და ტრადიციული მეტოქეების ჯახი უგოლოდ დასრულდა. ტორპედოს ბოლო 9 შეხვედრაში 7 მოგება და 2 ფრე დაუგროვდა, ხოლო დინამო თბილისს აქამდე ზედიზედ 7 შეხვედრა ჰქონდა მოგებული და ახლა შეწყვიტა...

ისე, სეზონის წინა სამ შეხვედრაში დინამოელებმა მოიგეს: 4:0, 3:0, 5:1.

ქუთაისურ მატჩშიც შეეძლოთ, მეტი საგოლე მომენტი შექმნეს, მაგრამ კარგად ირჯებოდა რიონისპირელთა მეკარე როინ კვასხვაძე. მომენტები ტორპედოსაც ჰქონდა. მთლიანობაში, სანახაობრივი მატჩი არ გამოდგა.

დინამო თბილისი მეორე ადგილზეა და ისევ ერთი ქულით ჩამორჩება ლიდერ ბათუმელებს, ტორპედო – მესამეზე.

**სიონი-დინამო (ბთ) 1:1**

**ბოლნისი. თამაზ სტეფანია**

0:1 რადინი (24), 1:1 გი განაბუიუ (55)

**სიონი:** ისიანი, ბექაური, კარვალიუ, ლ.ხორხელი (ასათიანი 79), ნ.ხორხელი, განაბუიუ (ჟორდანია 68), ფოცხვერია, ნემსაძე (ჯავაშვილი 43), კიკალიშვილი, დუმბია, ზურაბიანი (ჩაგანავა 87)

**დინამო:** ალავიძე, ტეიდი (კობახიძე 87), ქაფიანიძე, აზაცკი, ვაწაძე (ზარია 58), ბიძინაშვილი, მამუჩაშვილი, ალთუნაშვილი, რადინი (ჯიღაური 65), ჩაბრაძე (ლუდუშაური 87), ფლამარიონი (ფანცულაია 65)

**გაძევება:** ბიძინაშვილი (42), ბექაური (77)

სიონმა ბოლნისში 1:1 ითამაშა ლიდერ დინამო ბათუმთან და მერვე ადგილზე დარჩა.

არადა, თავდაპირველად ბათუმელები დაწინაურდნენ – 24-ე წუთზე მილან რადინმა შეაგდო. თუმცა, პირველი ტაიმის მიწურულს ზღვისპირელთა ნახევარმცველი ირაკლი ბიძინაშვილი გააძევეს და უმცირესობაში დარჩნენ.

სიონმა უპირატესობით ისარგებლა და 55-ე წუთზე გი განაბუიუმ თავურით გაათანაბრა. ბოლო 15 წუთი გუნდებმა 10-10 კაცით ითამაშეს, რადგან სიონსაც გაუძევეს ფეხბურთელი – თემურ ბექაური. თუმცა, ანგარიში აღარ შეცვლილა – 1:1.

სხვათა შორის, ამ გუნდების წინაბოლნისური დაპირისპირებაც 1:1 დასრულდა...

**სამგურალი-საბურთალო 0:3**

**წყალტუბო. 26 მაისი**

0:1 თევზაძე (სკ), 0:2 მამაგეიშვილი (40), 0:3 გულიაშვილი (85)

**სამგურალი:** შოვნაძე, გილმორი, მაისაშვილი, რუხაძე, სამდიანკიძი (საკი 46), ქურდაძე, ბაშალეიშვილი (ჩიხლაძე 46), თევზაძე (ახვლედიანი 26), კიკაბიძე, ნიქაბაძე (დოლიძე 58), ჯერალდო (გავაშელიშვილი 62)

**საბურთალო:** მეგრელიშვილი, გოჩოლეიშვილი (ჩადუნელი 65), კაკუბავა, ჯგერენაია, მამაცაშვილი, ო.მამაგეიშვილი (შ.ნონიკაშვილი 65), ქარდავა, ლ.ნონიკაშვილი (პარუნაშვილი 86), ი.ტაბატაძე (გ.მამაგეიშვილი 76), გოშთელიანი (გულიაშვილი 65), სიხარულიძე

**გაძევება:** საკი (87)

სამგურალმა შინ 0:3 წააგო საბურთალოსთან. აღსანიშნავია, რომ ეს წყალტუბოელებისთვის ზედიზედ მესამე მარცხია და სამივეჯერ ერთნაირი ანგარიშით – 0:3. შედეგად, სამგურალი სამეულიდან დაქვეითდა და ახლა მეხუთე ადგილზეა.

რაც შეეხება საბურთალოს, თემურ შალამბერიძის გაწვრთნილებმა ზედიზედ მესამედ გაიმარჯვეს საერთო ანგარიშით – 11:1. საბურთალო მეექვსეზეა, მაგრამ ცხრილში სიმჭიდროვეა და მესამეადგილოსანს მხოლოდ 3 ქულით ჩამორჩება.

**გოლებზე:** სამგურალის მცველ გიორგი თევზაძეს აეჭრა საკუთარ კარში და 0:1... ტაიმის ბოლოს ოთარ მამაგეიშვილმა გაიტანა და ეს მისი პირველი გოლია სეზონში. შესვენების შემდეგ კი გიორგი გულიაშვილმა ახლოდან დარტყმით საბოლოო ანგარიში დააფიქსირა – 0:3.

**გაგრა-დილა 0:0**

**თბილისი. დინამო არენა**

**გაგრა:** ქავთარაძე, ხოსიტაშვილი, ჭანტურია, სეხნიაშვილი, სულთანიშვილი (სულთანიშვილი 80), ქობულაძე, შეწირული, ფარულავა (ბა 80), ლომინაძე (შონია 71), გვიშიანი, მაქაცარია (ბუხაიძე 80)

**დილა:** კანევცევი, ჭიჭინაძე, სანტოსი, მოსიაშვილი, თ.კაპანაძე, გეილი, ნონდი, დრამე (სპანდერაშვილი 78), ბატიუშინი (ვიქტორი 61), გაფრინდაშვილი, სილვა

თბილისის დინამო არენაზე გაგრამ და დილამ 0:0 ითამაშეს. გაგრას 7 ტურია, არ მოუგია და ზედიზედ 5 თამაშია, გოლი არ გაუტანია; დილას კი ექვსმატჩიანი წაუგებელი სერია აქვს.

ისე, ამ ორ გუნდს შორის ურთიერთშეხვედრებში მიმდინარე სეზონში თანაფარდობაა: თითო მოგება-წაგება და ორი ფრე.

**თელავი-ლოკომოტივი 0:0**

**თელავი. კავკასიონი არენა**

90-ე წუთზე ცოტნე კაპანაძემ ვერ გამოიყენა პენალტი (მეკარე)

**თელავი:** თანდილაშვილი, ც.კაპანაძე, გიგაშვილი (ყაველაშვილი 90), ბერიაშვილი, ზ.თევზაძე, ფირანაშვილი (ვიტინიო 57), გრძელიძე (პარკინაშვილი 66), ბ.ქავთარაძე (რეკიში 57), ჯიქია, კვერნაძე, ფაცაცია (ქოჩლაძე 66)

**ლოკომოტივი:** გოშაძე, გიორგაძე (ანდრონიკაშვილი 86), მახარობლიძე, შეყილაძე (დიასამიძე 64), ჭიაბრიშვილი, ძებნიაური, გაბაძე, კახაბრიშვილი (ომარაშვილი 72), იაშვილი, აბდულაჰი, უბილავა

თელავი-ლოკომოტივის შეხვედრაც უგოლოდ დასრულდა. არადა, თელაველებს უიმედო აუტსაიდერთან მატჩში სამი ქულის მოპოვება მსაჯის მიერ კომპენსირებულ წუთებზე შეეძლოთ, როდესაც მასპინძელთა მარჯვენაფლანგელმა ცოტნე კაპანაძემ პენალტი ვერ გაიტანა – ოთო გოშაძემ მოიგერია.

გიორგი ცეცაძის გაწვრთნილ თელავს 9 ტურია, არ მოუგია, თუმცა ჯერჯერობით მეშვიდე ადგილზე რჩება. რაც შეეხება ლოკომოტივს, წლეულს პირველად მოახერხა სტუმრად ქულის აღება...

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (ბთ) | 28 | 18 | 7 | 3 | 67-22 | 61 |
| 2.დინამო (თბ) | 28 | 18 | 6 | 4 | 58-23 | 60 |
| 3.ტორპედო | 28 | 13 | 5 | 10 | 38-40 | 44 |
| 4.დილა | 28 | 12 | 7 | 9 | 33-26 | 43 |
| 5.სამგურალი | 28 | 11 | 9 | 8 | 41-34 | 42 |
| 6.საბურთალო | 28 | 11 | 7 | 10 | 44-36 | 40 |
| 7.თელავი | 28 | 6 | 12 | 10 | 25-29 | 30 |
| 8.სიონი | 28 | 6 | 11 | 11 | 29-47 | 29 |
| 9.გაგრა | 28 | 6 | 8 | 14 | 27-46 | 26 |
| 10.ლოკომოტივი | 28 | 1 | 4 | 23 | 23-82 | 7 |

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

### კალეიდოსკოპი

## ლეოპარდმა მწყემსი მოკლა და შეჭამა



ინდოეთის კარნატაკას შტატში მდებარე კოვერი უაილდლაიფის ნაკრძალში ლეოპარდმა მოკლა და შეჭამა მამაკაცი, რომელიც იქ უკანონოდ აძოვებდა საქონელს.

65 წლის მამაკაცმა, სახელად გოვინდიამ, ნახირი ნაკრძალში საძოვრად წაიყვანა და გაუჩინარდა. მეორე დღეს დაკარგული მამაკაცის ნათესავებმა დახმარებისთვის სატყეო მეურნეობის დეპარტამენტს მიმართეს. დაწესებულების თანამშრომლებმა მამაკაცის სამძებრო სამუშაოები დაუყოვნებლივ განახორციელეს და ნახევრად შეჭმული მწყემსის ცხედარი იპოვეს. ის ლეოპარდის მსხვერპლი გახდა.

მტაცებელმა ცხოველმა ასევე მოკლა და შეჭამა ნახირის ნაწილი. შემთხვევის ადგილზე პატრულის მისვლის დროს ლეოპარდი მის მიერ დახოცილი ცხოველების ახლოს იმყოფებოდა, თუმცა ადამიანების დანახვაზე გაიქცა და ტყეს შეერია. ეს შტატში ლეოპარდის მიერ ადამიანის მოკვლის პირველი შემთხვევაა. სატყეო დეპარტამენტში დაღუპულის ოჯახისთვის კომპენსაციის გადაცემის საკითხს განიხილავენ. ასევე, სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ოთხი გალია და 80 ფოტოხაფანგი დადგეს კაციჭამია ლეოპარდის მისაგნებად და დასაჭერად.

## ტყეში სეირნობის დროს ძაღლმა პატრონს ხელი მიუტანა



სოციალური ქსელის რედიტის მომხმარებელმა ქალმა განაცხადა, რომ გაოგნდა, როდესაც ტყეში სეირნობის დროს მისმა ძაღლმა ადამიანის მოგლეჯილი ხელი მიუტანა.

– ტყეში ვსეირნობდით და მან ხელი მომიტანა. ეს იყო ჭუჭყიანი, მოტეხილი ხელი, რომელიც ძალიან წააგავდა ადამიანის ნამდვილ ხელს. ჩემი ძაღლი მისი მოტანით ისეთი კმაყოფილი ჩანდა, თითქოს რაიმე გემრიელი სასუსნავისთვის მიეგნო, – განმარტა შინაური ცხოველის პატრონმა.

ძაღლის პატრონი ძალიან შეშინდა, სანამ გაარკვევდა, ხელი ნამდვილი იყო თუ არა, თუმცა შეეცადა სიმშვიდე შეენარჩუნებინა. ის ძაღლს, რომელიც ხელით პირში მის გარშემო დარბოდა, სთხოვდა, რომ ნაპოვნი საგანი ძირს დაეგდო.

– ოდესმე გიცდიათ, თავი ისე მოგეჩვენებინათ, რომ მშვიდად იყავით და გონება არ დაგეკარგათ. გეცადათ, ძაღლისთვის პირიდან საგანი ისე გაგეგდებინებინათ, რომ თავად მას არ შეხებოდით? მე ვცადე. თუმცა, მაინც მომიხდა მასზე შეხება და მაშინვე მივხვდი, რომ ის მანეკენის ხელი იყო და მკვლელობაში ერთადერთი ეჭვმიტანილი არ ვიქნებოდი, – განმარტა ქალმა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# სანდრო მამუკელაშვილი: „საკუთარ შანსს უნდა დაველოდო“

ნბა-ს კლუბებმა ახალი სეზონისთვის მზადება დაიწყეს. რეგულარული ჩემპიონატის დაწყებამდე პროფესიული ლიგის კლუბები, ტრადიციულად, საგამოფენო მატჩებს მართავენ. დაგეგმილი 5 მოსამზადებელი მატჩიდან პირველი გამართა სანდრო მამუკელაშვილის მილუოკიმ, რომელმაც მემფისს უმასპინძლა და მოულოდნელად 102:107 დამარცხდა.

მატჩს 13.000-მდე ქომაგი დაესწრო და ისე მიდიოდა, რომ მილუოკის გამარჯვება უნდა ეზეიმა, მაგრამ ბოლო მეოთხედი 26:41 წააგო და დამარცხებას ვერ გადაურჩა.

მამუკელაშვილი სასტარტო ხუთეულში არ ყოფილა, მაგრამ მოედანზე 21 წუთი გაატარა და 15 ქულა, 4 მოხსნა და 3 პასი მიითვალა. სანდრომ 6-დან 5 ორქულიანი, 5-დან 1 სამქულიანი და 2-ვე საჯარიმო ჩააგდო, ბურთი კი 3-ჯერ დაკარგა.

შეხვედრაში მონაწილეობა არ მიუღია ბაქსის ბერძენ ვარსკვლავს იანის ადეტოკუნმპოს, მაგრამ ვერც იმას ვიტყვით, რომ მასპინძლები სუსტი შემადგენლობით იყვნენ. მოედანზე გავიდნენ ბრუკ ლოპესი, ბობი პორტისი, ჯრუ ჰოლიდეი, გრეისონ ალენი, სერჟ იბაკა და სხვები.

მამუკელაშვილის კლუბი სეზონის სტარტამდე კიდევ ოთხ მატჩს ჩაატარებს, განრიგი კი ასეთია: 6 და 8 ოქტომბერს – ატლანტასთან, 12 ოქტომბერს – ჩიკაგოსთან, ხოლო 13 ოქტომბერს – ბრუკლინთან.

**მანამდე მამუკელაშვილმა ჟურნალისტების კითხვებს უპასუხა:**

– პატარაობაში ზაზა ფაჩულიას ფანი ვიყავი. როდესაც ამერიკაში სათამაშოდ ჩამოვედი, გოლდენ სტეიტის მატჩზე დამპატიჟა. მას შემდეგ ოჯახური ურთიერთობა და კონტაქტი მუდმივად გვაქვს. ხშირად მიზიარებს საკუთარ აზრებს: როგორ ვთამაშობ, როგორ შემიძლია სხვადასხვა კომპონენტის გაუმჯობესება, როგორ გავხდე უკეთესი კალათბურთელი. ზაზა ჩემთვის უფროსი ძმაა. საქართველოში იყო ჩამოსული და მის მხარდაჭერას სულ ვგრძნობდი...

ჯერ ახალგაზრდა ვარ, კალათბურთის თამაში მიყვარს, შესვენებები არ მჭირდება. მინდა, მილუოკიში თავი დავიმკვიდრო, ყველას დავანახო, რომ გასული ზაფხულის შემდეგ უკეთესი გავხდი. ცოტა ხნის წინ შევიკრიბეთ და ძალიან კარგი დღეები გვქონდა, ერთმანეთს ვეჯიბრებით, ახალ კომბინაციებზე ვმუშაობთ. ეს ყველაფერი მომწონს...

ძალიან ძლიერი და ღრმა შემადგენლობა გვყავს. თავდაუზოგავად ვმუშაობ, დარბაზში დღეში ორ-სამჯერ მოვდივარ, სხეულის გაძლიერებას ვცდილობ. მინდა, მზად ვიყო იმ მომენტისთვის, როცა ჩემი დრო დადგება. გუნდში დიდი კონკურენციაა, მაგრამ ძალიან მახარებს ის ფაქტი, რომ ყველა ჩვენგანს ერთმანეთი უყვარს და ერთმანეთს ასწავლიან. ახალგაზრდა ვარ, მომთმენი უნდა ვიყო, საკუთარ შანსს დაველოდო. თუ ეს შესაძლებლობა მალე არ მოვა, მუშაობა უნდა გავაუმჯობესო...




ევროპული კალათბურთი ნბა-სგან განსხვავებულია – მანევრებისა და მუშაობისთვის დიდი სივრცე გაქვს. ევროპაში ზოგჯერ თამაში უფრო ნელა მიმდინარეობს. ევრობასკეტზე ჩემი მწვრთნელი, ჯეკი, თან მახლდა, ვმუშაობდით იმაზე, თუ რა უნდა გამეკეთებინა შეხვედრებში. თუმცა, უფრო მეტად იმაზე იყო ორიენტირებული, რომ ამ სეზონისთვის განვვითარებულიყავი. საქართველოს ნაკრებში თამაშისა და შრომის საშუალება მომცეს. ეს ყველაფერი ძალიან დამეხმარა, ევროპული კალათბურთიდან რაღაცები ვისწავლე, ჯეკი კი იმ მხრივ მავარჯიშებდა, თუ როგორ ვითამაშო უკეთ ნბა-ში...

დაცვაში განვითარება როცა გინდა, სირბილით, ერთი-ერთზე თამაშით, სხეულის გაძლიერებაზე მუშაობით ცდილობ. მე კი გასულ ზაფხულს ძალიან ბევრი ვითამაშე და ბრწყინვალე ტურნირებზე. ზაფხულის ლიგამდე მოსამზადებელი ბანაკი გვქონდა, შემდეგ თავად ზაფხულის ლიგა ძალიან კარგი გამოდგა. ამის მერე კი ევრობასკეტისთვის მოსამზადებელი შეკრება და ევრობასკეტი იყო. ისე გამოვიდა, რომ დაცვაში თამაშის გაუმჯობესებაზე შეხვედრებში ვმუშაობდი. პროგრესი მაქვს, თუმცა ამ კომპონენტში მომატება ისევ მჭირდება...

ფიზიკურ კონდიციებს რაც შეეხება, ახლა უფრო მძიმე წონების აწევას ვახერხებ. სწორ კვებაზე ბევრი ვიმუშავე. ვიცოდი, რომ ფლეი ოფში თამაში არ მომიწევდა, ამიტომ, როგორც კი რეგულარული სეზონი დამთავრდა, გეგმა შევადგინეთ, თუ როგორ უნდა გავძლიერებულიყავი ფიზიკურად, როგორ გავმხდარიყავი უფრო სწრაფი. ეს კომპონენტი ჩემთვის ისეთი პრობლემა აღარ არის, როგორიც ადრე იყო. ჩემზე ძლიერი ბიჭებიც არიან, მაგრამ ახლა უკეთ ვარ მომზადებული და ვიცი, რა უნდა გავაკეთო მათთან თამაშის დროს.

## შედეგები

### 2 ოქტომბერი

#### ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

სიტი-მანჩესტერი ............................6:3
ლიდსი-ასტონ ვილა .........................0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.არსენალი | 8 | 7 | 0 | 1 | 20-8 | 21 |
| 2.სიტი | 8 | 6 | 2 | 0 | 29-9 | 20 |
| 3.ტოტენჰემი | 8 | 5 | 2 | 1 | 19-10 | 17 |
| 4.ბრაიტონი | 7 | 4 | 2 | 1 | 14-8 | 14 |
| 5.ჩელსი | 7 | 4 | 1 | 2 | 10-10 | 13 |
| 6.მანჩესტერი | 7 | 4 | 0 | 3 | 11-14 | 12 |
| 7.ნიუკასლი | 8 | 2 | 5 | 1 | 12-8 | 11 |
| 8.ფულემი | 8 | 3 | 2 | 3 | 13-15 | 11 |
| 9.ლივერპული | 7 | 2 | 4 | 1 | 18-9 | 10 |
| 10.ბრენტფორდი | 8 | 2 | 4 | 2 | 15-12 | 10 |
| 11.ევერტონი | 8 | 2 | 4 | 2 | 7-7 | 10 |
| 12.ლიდსი | 7 | 2 | 3 | 2 | 10-10 | 9 |
| 13.ბორნმუთი | 8 | 2 | 3 | 3 | 6-19 | 9 |
| 14.ასტონ ვილა | 8 | 2 | 2 | 4 | 6-10 | 8 |
| 15.ვესტ ჰემი | 8 | 2 | 1 | 5 | 5-9 | 7 |
| 16.საუთჰემპტონი | 8 | 2 | 1 | 5 | 8-13 | 7 |
| 17.კრ.პალასი | 7 | 1 | 3 | 3 | 8-11 | 6 |
| 18.ვულვზი | 8 | 1 | 3 | 4 | 3-9 | 6 |
| 19.ნოტინგემი | 7 | 1 | 1 | 5 | 6-17 | 4 |
| 20.ლესტერი | 7 | 0 | 1 | 6 | 10-22 | 1 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

სტოკი-უოტფორდი .........................0:4

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ჰერტა-ჰოფენჰაიმი ..........................1:1
შალკე-აუგსბურგი ...........................2:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.უნიონი | 8 | 5 | 2 | 1 | 15-6 | 17 |
| 2.ფრაიბურგი | 8 | 5 | 2 | 1 | 12-6 | 17 |
| 3.ბაიერნი | 8 | 4 | 3 | 1 | 23-6 | 15 |
| 4.დორტმუნდი | 8 | 5 | 0 | 3 | 11-10 | 15 |
| 5.აინტრახტი | 8 | 4 | 2 | 2 | 16-13 | 14 |
| 6.ჰოფენჰაიმი | 8 | 4 | 2 | 2 | 13-8 | 14 |
| 7.კიოლნი | 8 | 3 | 4 | 1 | 14-10 | 13 |
| 8.ვერდერი | 8 | 3 | 3 | 2 | 18-13 | 12 |
| 9.აუგსბურგი | 8 | 4 | 0 | 4 | 8-12 | 12 |
| 10.გლადბახი | 8 | 3 | 3 | 2 | 11-10 | 12 |
| 11.ლაიფციგი | 8 | 3 | 2 | 3 | 13-12 | 11 |
| 12.მაინცი | 8 | 3 | 2 | 3 | 8-12 | 11 |
| 13.ვოლფსბურგი | 8 | 2 | 2 | 4 | 8-14 | 8 |
| 14.ჰერტა | 8 | 1 | 4 | 3 | 8-10 | 7 |
| 15.შალკე | 8 | 1 | 3 | 4 | 10-17 | 6 |
| 16.შტუტგარტი | 8 | 0 | 5 | 3 | 9-13 | 5 |
| 17.ლევერკუზენი | 8 | 1 | 2 | 5 | 9-16 | 5 |
| 18.ბოხუმი | 8 | 0 | 1 | 7 | 5-23 | 1 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

კაიზერი-ბრაუნშვაიგი .....................1:1
კარლსრუე-ნიურნბერგი ....................3:0
მაგდებურგი-რეგენსბურგი .................1:0

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ესპანიოლი-ვალენსია .......................2:2
სელტა-ბეტისი ...............................1:0
ხირონა-სოსიედადი ..........................3:5
რეალი-ოსასუნა ..............................1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 7 | 6 | 1 | 0 | 19-1 | 19 |
| 2.რეალი | 7 | 6 | 1 | 0 | 18-7 | 19 |
| 3.ბილბაო | 7 | 5 | 1 | 1 | 16-4 | 16 |
| 4.ბეტისი | 7 | 5 | 0 | 2 | 10-5 | 15 |
| 5.ატლეტიკო | 7 | 4 | 1 | 2 | 12-6 | 13 |
| 6.ოსასუნა | 7 | 4 | 1 | 2 | 8-6 | 13 |
| 7.სოსიედადი | 7 | 4 | 1 | 2 | 12-11 | 13 |
| 8.ვილიარელი | 7 | 3 | 3 | 1 | 10-2 | 12 |
| 9.ვალენსია | 7 | 3 | 1 | 3 | 12-7 | 10 |
| 10.სელტა | 7 | 3 | 1 | 3 | 9-13 | 10 |
| 11.მალიორკა | 7 | 2 | 2 | 3 | 6-8 | 8 |
| 12.ხირონა | 7 | 2 | 1 | 4 | 10-12 | 7 |
| 13.ვალიადოლიდი | 7 | 2 | 1 | 4 | 6-13 | 7 |
| 14.რაიო | 6 | 2 | 1 | 3 | 7-8 | 7 |
| 15.ხეტაფე | 7 | 2 | 1 | 4 | 8-15 | 7 |
| 16.ესპანიოლი | 7 | 1 | 2 | 4 | 9-14 | 5 |
| 17.სევილია | 7 | 1 | 2 | 4 | 7-13 | 5 |
| 18.ალმერია | 7 | 1 | 1 | 5 | 4-11 | 4 |
| 19.კადისი | 7 | 1 | 1 | 5 | 1-14 | 4 |
| 20.ელჩე | 6 | 0 | 1 | 5 | 2-16 | 1 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ალავესი-პონფერადინა .....................3:1
ლეგანესი-ალბასეტე .........................1:2
გრანადა-უესკა ................................0:0
ოვიედო-კარტახენა ..........................1:3
იბიცა-ლუგო ....................................3:2

**იტალია. სერია ა**

ლაციო-სპეცია ................................4:0
ლეჩე-კრემონეზე ..............................1:1
სამპდორია-მონცა .............................0:3
სასუოლო-სალერნიტანა ....................5:0
ატალანტა-ფიორენტინა ....................1:0
იუვენტუსი-ბოლონია .......................3:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 8 | 6 | 2 | 0 | 18-5 | 20 |
| 2.ატალანტა | 8 | 6 | 2 | 0 | 12-3 | 20 |
| 3.ლაციო | 8 | 5 | 2 | 1 | 17-5 | 17 |
| 4.მილანი | 8 | 5 | 2 | 1 | 16-9 | 17 |
| 5.უდინეზე | 7 | 5 | 1 | 1 | 15-7 | 16 |
| 6.რომა | 8 | 5 | 1 | 2 | 10-8 | 16 |
| 7.იუვენტუსი | 8 | 3 | 4 | 1 | 12-5 | 13 |
| 8.სასუოლო | 8 | 3 | 3 | 2 | 10-8 | 12 |
| 9.ინტერი | 8 | 4 | 0 | 4 | 14-13 | 12 |
| 10.ტორინო | 8 | 3 | 1 | 4 | 6-10 | 10 |
| 11.ფიორენტინა | 8 | 2 | 3 | 3 | 7-7 | 9 |
| 12.სპეცია | 8 | 2 | 2 | 4 | 7-15 | 8 |
| 13.ლეჩე | 8 | 1 | 4 | 3 | 7-9 | 7 |
| 14.სალერნიტანა | 8 | 1 | 4 | 3 | 10-13 | 7 |
| 15.ემპოლი | 8 | 1 | 4 | 3 | 7-10 | 7 |
| 16.მონცა | 8 | 2 | 1 | 5 | 7-14 | 7 |
| 17.ბოლონია | 8 | 1 | 3 | 4 | 7-13 | 6 |
| 18.ვერონა | 7 | 1 | 2 | 4 | 6-13 | 5 |
| 19.კრემონეზე | 8 | 0 | 3 | 5 | 6-15 | 3 |
| 20.სამპდორია | 8 | 0 | 2 | 6 | 4-16 | 2 |

**იტალია. სერია ბ**

ბენევენტო-ასკოლი ..........................1:1

**საფრანგეთი. ლიგა 1**

ლორიანი-ლილი ...............................2:1
აიაჩო-კლერმონი .............................1:3
ოსერი-ბრესტი ................................1:1
ტრუა-რეიმსი .................................2:2
ტულუზა-მონპელიე ..........................4:2
მონაკო-ნანტი .................................4:1
ლანსი-ლიონი ..................................1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 9 | 8 | 1 | 0 | 28-5 | 25 |
| 2.მარსელი | 9 | 7 | 2 | 0 | 19-5 | 23 |
| 3.ლორიანი | 9 | 7 | 1 | 1 | 19-13 | 22 |
| 4.ლანსი | 9 | 6 | 3 | 0 | 17-7 | 21 |
| 5.მონაკო | 9 | 5 | 2 | 2 | 17-13 | 17 |
| 6.რენი | 9 | 4 | 3 | 2 | 17-9 | 15 |
| 7.ლიონი | 9 | 4 | 1 | 4 | 16-11 | 13 |
| 8.ლილი | 9 | 4 | 1 | 4 | 17-18 | 13 |
| 9.კლერმონი | 9 | 4 | 1 | 4 | 12-14 | 13 |
| 10.მონპელიე | 9 | 4 | 0 | 5 | 21-19 | 12 |
| 11.ტრუა | 9 | 3 | 2 | 4 | 16-18 | 11 |
| 12.ტულუზა | 9 | 3 | 2 | 4 | 13-15 | 11 |
| 13.ნიცა | 9 | 2 | 2 | 5 | 6-11 | 8 |
| 14.ანჟე | 9 | 2 | 2 | 5 | 9-21 | 8 |
| 15.ოსერი | 9 | 2 | 2 | 5 | 9-20 | 8 |
| 16.ნანტი | 9 | 1 | 4 | 4 | 9-15 | 7 |
| 17.რეიმსი | 9 | 1 | 4 | 4 | 11-18 | 7 |
| 18.ბრესტი | 9 | 1 | 3 | 5 | 9-19 | 6 |
| 19.სტრასბური | 9 | 0 | 5 | 4 | 7-12 | 5 |
| 20.აიაჩო | 9 | 1 | 1 | 7 | 5-14 | 4 |

**ნიდერლანდები. ერედივიზიონი**

სიტარდი-ვოლენდამი ......................2:0
ნაიმეგენი-ფეიენოორდი ...................1:1
ექსელსიორი-უტრეხტი .....................0:1
ვალვაიკი-სპარტა ............................2:2
ემენი-ჰერენვენი ..............................0:0

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

რიუ ავე-სანტა კლარა ......................1:0
ფერეირა-აროუკა .............................1:1
ფამილიკაო-ბოავიშტა ........................4:0

**ბელგია. ა დივიზიონი**

ანდერლეხტი-შარლერუა ....................0:1
გენტი-სერკლი ................................3:4
კორტრაიკი-ანტვერპენი ....................2:1
სტ.ტრუიდენი-ეუპენი ......................0:1

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

რიდი-ალტახი .................................2:3
ჰარტბერგი-კლაგენფურტი .................2:3
აუსტრია-შტურმი .............................0:3

**თურქეთი. სუპერლიგა**

ალანია-გირესუნი ............................1:1
სივასი-ჰატაი ..................................1:2
ქონია-უმრანი .................................1:0
ბეშიქთაში-ფენერბახჩე ......................0:0

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ასტერასი-ოფი .................................2:0
ოლიმპიაკოსი-ატრომიტოსი ...............2:0
ვოლოსი-არისი ................................2:0
პაოკი-პანათინაიკოსი .......................1:2

**შვეიცარია. სუპერლიგა**

სიონი-ვინთენთური ..........................1:3
ლუგანო-სერვეტი ............................1:0
ლუცერნი-იანგ ბოიზი .......................1:2

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

ზლინი-სლოვაცკო ...........................0:2
ტეპლიცე-პარდუბიცე .......................5:1
იაბლონეცი-ბრნო ............................3:1
სლავია-სლოვანი .............................3:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ლეგნიცა-სტალი ..............................0:2
იაგელონია-კორონა .........................4:1
ვიძევი-ჩენსტოხოვა .........................0:0

**უნგრეთი. 1 დივიზიონი**

კეჩკემეტი-ფერენცვაროში ..................2:0
პუშ.აკადემია-ფეჰერვარი ..................1:1

**უკრაინა. პრემიერლიგა**

მინაი-დინამო ..................................0:1
ჩერნომორეცი-ოლექსანდრია ..............1:2
ზორია-კრივბასი ..............................2:2

**დანია. სუპერლიგა**

მიდტიულანდი-ვიბორგი ....................1:1
სილკებორგი-ჰორსენსი ......................2:1
ბრონდბიუ-ლუნგბიუ .........................3:3
კოპენჰაგენი-ოლბორგი .......................1:0

**შვედეთი. ალსვენსკა**

ვარბერგი-ჰაკენი .............................1:1
სუნდსვალი-ნორჩიოპინგი ...................1:3
კალმარი-ჰელსინბორგი ......................2:0
სირიუსი-აიკი .................................1:1

**ნორვეგია. ელიტსერია**

ალესუნდი-ვიკინგი ..........................2:1
სანდერფიორდი-სარპსბორგი ...............1:1
ჰამ კამი-ერვი .................................2:1
ჰაუგესუნდი-ოდი ............................2:2
კრისტიანსუნი-რუსენბორგი ................4:4

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

**სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.**

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ჩრდილო მაკედონიის დედაქალაქი; 2. ყურძნის კრეფა; 3. სასარგებლო წიაღისეული საბადოების მკვლევარი მეცნიერი; 4. კლავიშებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 5. რომის, არყის მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 7. სამთო-სათხილამურო კურორტი საქართველოში; 11. მოძრავი სცენა თეატრში; 12. ზღვის წვრილი თევზი, ფართო რეწვის ობიექტი; 13. უღელტეხილი აჭარაში; 14. წვრილად დაჭრილი ხორცისგან მომზადებული უნგრული წვნიანი კერძი; 15. საკურორტო ცენტრი ფლორიდაში; 17. გრიგოლ რობაქიძის პიესა; 19. სოფელთა სახელწოდება ჩრდილოეთ კავკასიაში.

**თარაზულად:** 5. ავტონომიური ოლქი ესპანეთში; 6. სპეკულაციური გარიგება ბირჟაზე; 8. კუნძული ვენეციის ყურეში, პოპულარული საკურორტო ზონა; 9. გერმანიის კანცლერი; 10. ჩაის ფოთლის დამგრეხი მანქანა; 11. ერთგულების მტკიცე პირობა; 13. დიდი ქრისტიანული დღესასწაული; 14. თორაძის მუსიკაზე შექმნილი ქართული ბალეტი; 16. კომბინაცია პოკერში; 18. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური უკრაინაში; 20. საგნის ნიმუში, ტრაფარეტი; 21. ხორვატიის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ფაუსტი; 2. გულაბი; 3. ტვიში; 5. ტალი; 6. კოდაკი; 8. აპნისი; 11. ტაქსაფონი; 13. არაბიკა; 14. მაკრონი; 15. ჰოსტელი; 19. რადა.

**თარაზულად:** 1. ფარენგეიტი; 4. სელტიკი; 7. ურთხელი; 9. შუშპარი; 10. შტაბი; 12. კრიჟანგი; 16. რიგოლეტო; 17. ჯანაოზი; 18. კრაისლერი; 20. ნანსენი; 21. გაჯი; 22. ჰიდრანტი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. მიოპია; 2. მესიჯი; 3. თაკვერი; 4. დიუპონი; 5. ჰოოპუნა; 7. პანკისი; 11. არიკი; 12. შანხაი; 13. ველვეტი; 14. კალმახი; 15. ზარაფი; 17. რუბიკი; 19. დოხა.

**თარაზულად:** 5. ჰაჯიბეი; 6. ბაზალტი; 8. ჯუნო; 9. ზესხო; 10. ურნალი; 11. ალჩუ; 13. ვირჯინია; 14. კრინი; 16. ბრიხი; 18. ნივეა; 20. ხირხატი; 21. ფხაკაძე.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


4 ოქტომბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.8228 |
| ევრო | 2.7590 |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | 3.1618 |
| 100 რუსული რუბლი | 4.8212 |

## ამინდის პროგნოზი 4 ოქტომბრისათვის




## ლევანდოვსკი: „ინტერთან მატჩი საკმაოდ მნიშვნელოვანია“



ბარსელონის პოლონელმა ფორვარდმა რობერტ ლევანდოვსკიმ განაცხადა, რომ ინტერთან სტუმრად მატჩი ძალიან მნიშვნელოვანია და მისი გუნდი უნდა შეეცადოს, რომ ეს შეხვედრა მოიგოს: „ინტერი ძლიერი მეტოქეა და მათთან იოლი შეხვედრა არ გველის, თუმცა, უნდა ვაღიაროთ, რომ ბარსელონა კარგ ფორმაშია და ჩვენ ყოველთვის შეგვიძლია მეტოქის კარის აღება. ბაიერნთან დაშვებული შეცდომები არ უნდა გავიმეოროთ“.

## სპალეტიმ კვარაცხელია შეაქო



ნაპოლის მთავარმა მწვრთნელმა ლუჩიანო სპალეტიმ ტორინოსთან მატჩის შემდეგ ხვიჩა კვარაცხელია შეაქო და თქვა, რომ მას დიდი პოტენციალი აქვს. ის ყოველდღე აჩვენებს თავის შესაძლებლობებს მოედანზე და სურს, რომ ეს დიდხანს გაგრძელდეს: „კვარაცხელია შესანიშნავი ფეხბურთელია და მასთან ერთად ნაპოლის შეუძლია წარმატების მიღწევა. ტორინოსთან მატჩში მას მეტი აქტიურობისკენ მოვუწოდებდი და მან ლამაზი გოლის გატანა შეძლო“.

## ანჩელოტი: „ოსასუნასთან დასანანი ქულები დავკარგეთ“



მადრიდის რეალის მთავარმა მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ განაცხადა, რომ ოსასუნასთან ფრე მხოლოდ შემთხვევითობა იყო და მისმა გუნდმა კარგი შეხვედრა ჩაატარა. ანჩელოტის აზრით, რეალი მომავალ მატჩებში აუცილებლად მიაღწევს წარმატებას: „ოსასუნასთან კარგი შეხვედრა ჩავატარეთ და, უბრალოდ, იღბალმა ზურგი გვაქცია. ჩემი გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ“.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## მხატვარი ჯიბსონ ხუნდაძე გარდაიცვალა



94 წლის ასაკში ცნობილი მხატვარი ჯიბსონ ხუნდაძე გარდაიცვალა.

სამწუხარო ინფორმაცია სამხატვრო აკადემიამ გაავრცელა:

– ცნობილი ქართველი მხატვარი ჯიბსონ ხუნდაძე გარდაიცვალა. სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ აქტიური პედაგოგიური საქმიანობა დაიწყო იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების განყოფილებასა და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტის ხატვა-ფერწერის მიმართულებით. ბრწყინვალე პედაგოგმა აღზარდა სტუდენტების არაერთი თაობა.

გამორჩეული ხელწერის მქონე მხატვრის გამოფენები ეწყობოდა როგორც საქართველოში, ისე მთელი მსოფლიოს მასშტაბით. იგი გახლდათ თანამედროვე ხელოვნებაზე შექმნილი არაერთი სტატიისა და წერილის ავტორიც. მისი ნამუშევრები დაცულია მუზეუმებსა და კერძო კოლექციებში.

საქართველოს სახალხო მხატვარი ღირსების ორდენის, შოთა რუსთაველის სახელმწიფო პრემიისა და სხვა არაერთი მნიშვნელოვანი ჯილდოს მფლობელია.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ასტროპროგნოზი



### 4 ოქტომბრისათვის

**ვერძი** – შესაფერისი დღეა გარემოს შესაცვლელად. კარგი იქნება სამოგზაუროდ წასვლა, ქალაქგარეთ გასეირნება. **კურო** – წინდახედულობა და შორსმჭვრეტელობა უსიამოვნებას თავიდან აგარიდებთ. ახალი ინფორმაცია გაგახარებთ. **ტყუპები** – იყავით გულმოწყალე. დახმარებაზე უარს ნურავის ეტყვით. **კირჩხიბი** – დაღლილი და გაღიზიანებული ხართ. ემოციები მაქსიმალურად მართეთ. დახმარებისათვის მეგობრებს მიმართეთ. **ლომი** – პრობლემების გადაწყვეტა, ახალი საქმის დაწყება თქვენგან დიდ ძალასა და მოთმინებას მოითხოვს. არ ეჩხუბოთ ნათესავებს. **ქალწული** – გარშემომყოფებთან უთანხმოება გაქვთ. სანამ რამეს მოიმოქმედებთ, კარგად დაფიქრდით. **სასწორი** – არაკეთილისმყოფელი დღეა. საქმიან პარტნიორებთან ურთიერთობაში ბზარი ჩნდება. **ღრიანკალი** – დაუკმაყოფილებლობის გრძნობა გიმწვავდებათ. რეპუტაციას გაუფრთხილდით. **მშვილდოსანი** – ნებისმიერ სიტუაციაში დაფიქრება და აუჩქარებლობა გმართებთ. ინტუიციას ნუ მიენდობით. **თხის რქა** – თქვენთვის დამახასიათებელი თავშეკავება დღეს აუცილებლად უნდა გამოიჩინოთ. კრიტიკულ შენიშვნებზე მწვავე რეაგირება საჭირო არ არის. **მერწყული** – საკუთარ პრინციპებს ნუ უღალატებთ. ფინანსებს მაქსიმალურად გაუფრთხილდით. **თევზები** – შინაგანი წონასწორობა შეინარჩუნეთ. მიზანს მხოლოდ შეუპოვრობისა და პრინციპულობის წყალობით მიაღწევთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– ბიჭო, აქამდე ცოლი რატომ არ მოიყვანე?

– სახლში მიყვანილი გოგონები დედაჩემს არ მოსწონს.

– შენც ადექი და ისეთი გოგონა მოძებნე, დედაშენს რომ ჰგავდეს.

– მივიყვანე და მამამ გინებით ამიკლო.

●●●

ორი ხანდაზმული მეგობარი საუბრობს, ერთი მეორეს ეუბნება:

– აბა, გავიხსენოთ ახალგაზრდობა და ქალებში გავიაროთ?

– წავიდეთ... მაგრამ უარი რომ გვითხრან?

– ეგ არ იქნება დიდი უბედურება! უბედურება ის იქნება, თუ დაგვთანხმდებიან!...

●●●

მამაკაცი ექიმს მიმართავს:

– ექიმო, მეჩვენება, რომ ღამის პეპელა ვარ!

– მაგ საკითხზე მე კი არა, ფსიქიატრს უნდა მიმართოთ!

– ვიცი, მაგრამ თქვენთან შუქი ენთო და...

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს, ერთი მეორეს ეუბნება:

– მინდა, მოგისამძიმრო.

– რა მიზეზით?

– გუშინ ჩემმა ცოლმა ქურქი იყიდა.

– და მე რა შუაში ვარ?

– ხვალ ჩემი ცოლი სტუმრად მოსვლას აპირებს.

●●●

ფსიქიატრიულში ხელოსანი კედელს ღებავს. ამ დროს ავადმყოფი მივა მასთან და ეკითხება:

– ფუნჯი ხელში მაგრად გიჭირავს?

– კი.

– მაშინ კიბეს წავიღებ.

●●●

ქმარი ცოლს ეუბნება:

– იპოდრომზე მივდივარ!

– დღეს დოლი არ იქნება!

– რატომ?

– შენს ფაშატს ცხვირ-პირი მივუნაყე...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## დემნა: „ყოველი დღე ბრძოლაა!“



ქართველმა დიზაინერმა დემნამ ახალი კოლექციის ჩვენება გამართა. ბალენსიაგას შემოქმედებითმა ხელმძღვანელმა 2023 წლის გაზაფხული-ზაფხულის კოლექციის წარდგენამდე განცხადება გაავრცელა:

– ყუთები, იარლიყები და იარლიყმიწებებულის ყუთში მოთავსება მძულს. საზოგადოებაში, ინტერნეტში და, ზოგადად, მსოფლიოში ამის გაკეთება ძალიან უყვართ, რადგან ასე თავს უფრო დაცულად გრძნობენ.

ადამიანს გამბედაობა და სიმტკიცე უნდა ჰქონდეს, თავისი ნამდვილი იდენტობა რომ იპოვოს და იყოს ის, ვინც სინამდვილეშია. ყოველი დღე ბრძოლაა ამ გამორჩეული იდენტობის დასაცავად. რაც უფრო ცდილობ, საკუთარი თავი იყო, მით უფრო მეტად გხვდება მუშტი სახეში. თუმცა, რა მაგარია, რომ ერთიმეორისგან განვსხვავდებით.

შენი ამოცანა დარტყმისა და ძირს დაგდების შემდეგ ფეხზე წამოდგომა და ნამდვილი მეობისკენ სვლის გაგრძელებაა.

მოდას ყუთები და იარლიყები ყველაზე მეტად უყვარს. მდიდრული, არამდიდრული, ქუჩის მოდა, მაღალი მოდა, კარგი, ცუდი, ხმაურის გამომწვევი, პოპულარული, აზრი არ აქვს, არავის ადარდებს. მდიდრული მოდის დახვეწილ, საგანგებო და შესახედავად ძვირფას ყუთში მოქცევა შეზღუდული და დრომოჭმული პრაქტიკაა. მოდაში ინდივიდუალიზმი ჩამოქვეითებულია ფსევდოტენდენციებამდე, რომელთაც იმ დროის რომელიმე ვარსკვლავის „სთორიში“ გაზიარებული პოსტი განსაზღვრავს. მე კი გადავწყვიტე, სიტყვიერად აღარ ავხსნა ჩემი კოლექციები და დიზაინი. ამის ნაცვლად, მსურს, განწყობა გადმოვცე. მოდა ვიზუალური ხელოვნებაა და მას მხოლოდ სხვისი თვალით დანახვა სჭირდება. საუკეთესო შემთხვევაში, მოდას ვიღაცაზე გასაყიდად „სთორი“ არ უნდა დასჭირდეს. ის ან მოგწონს, ან – არა.

ეს შოუ სიმართლის ძიებისა და რეალისტობის ერთგვარი მეტაფორაა. დაე, ყველას მივცეთ საშუალება, იყვნენ ისინი, ვინც არიან. დაე, სიყვარულით დავკავდეთ და არა ომით.

## საპატიო თბილისელები დააჯილდოვეს

თბილისობის დღესასწაული, ტრადიციულად, საპატიო თბილისელების დაჯილდოებით დასრულდა.

2022 წლის საპატიო თბილისელის წოდება მიენიჭათ: რეჟისორ ელდარ შენგელაიას, ჟურნალისტსა და ფოტოგრაფს ბადრი ვადაჭკორიას, სამართალმცოდნე მინდია უგრეხელიძეს, არქიტექტორ ვახტანგ დავითაიას, პოეტსა და მთარგმნელს ტარიელ ჭანტურიას, მსახიობ თენგიზ არჩვაძეს, მეცნიერს, პედაგოგსა და ფსიქოლოგს შალვა ამონაშვილს, კინორეჟისორ მერაბ კოკოჩაშვილს, პოეტს, მწერალსა და მთარგმნელს ვახტანგ ჯავახაძეს, კომპოზიტორ ჯემალ სეფიაშვილს, მსახიობ ჯემალ ღაღანიძეს, ფიზიოლოგსა და მეცნიერს გურამ ბექაიას, მუსიკოსსა და პიანისტს ლაურა იაშვილს, ინჟინერსა და მეცნიერს ილია ხეროდინაშვილს, ინჟინერ-მშენებელს რევაზ ასათიანს, ალერგოლოგსა და იმუნოლოგს მაია გოთუას, ჟურნალისტ ვან ბაიბურთის, დიზაინერ დემნა გვასალიას, ფრანგ პიანისტს ელიზაბეთ სომბარტის, თბილისში დაბადებულ აზერბაიჯანელ დიპლომატს, აზერბაიჯანის ყოფილ პრემიერ-მინისტრს ჰასან ჰასანოვს. თბილისს უკვე 350 საპატიო თბილისელი ჰყავს, რომლებიც სხვადასხვა პროფესიის ცნობილი და ღვაწლმოსილი ადამიანები არიან.

## თემურ წიკლაურს წიგნი მიუძღვნეს



ანსამბლ „ივერიის“ ლეგენდარულ მომღერალს თემურ წიკლაურს წიგნი-ალბომი მიუძღვნეს. კრებულში ხელოვანის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ეტაპებია გაერთიანებული.

ინფორმაცია მომღერლის შვილმა ქეთევან წიკლაურმა გაავრცელა:

– გაყიდვაში გამოდის წიგნი, რომელზეც ბოლო ნახევარი წლის განმავლობაში ვმუშაობდით. ეს წიგნი არის მამაზე – მომღერალ თემურ წიკლაურზე და შედგება უნიკალური მასალებისაგან, რომლებსაც თვითონ მამა აგროვებდა მთელი ცხოვრება.

წიგნი რეალურად ასახავს იმ უკიდეგანო სიყვარულსა და პატივისცემას, რომელსაც ხალხი ავლენდა თემურის მიმართ. მასში შესულია დოკუმენტური მასალა, ბიოგრაფიის ფაქტები... ასევე შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ძვირფასი ფოტო-ალბომი, გაჯერებული უიშვიათესი ფოტო-მასალით.

წიგნის წინასწარი შეკვეთა დაწყებულია. მომავალი კვირიდან ამ წიგნის შეძენას შეძლებთ ბიბლუსის მაღაზიათა ქსელში!

მადლობა ყველა იმ ადამიანს, რომლებიც ამ იდეის რეალიზებაში დაგვეხმარნენ.

## კამერული მუსიკის ფესტივალი მარტვილში ღია ცის ქვეშ გაიმართება

8 და 9 ოქტომბერს მარტვილში სალხინოს დადიანის საშემოდგომო რეზიდენცია კამერული მუსიკის VIII ფესტივალს უმასპინძლებს.

საფესტივალო კონცერტები ხეივანში, ღია ცის ქვეშ გაიმართება. ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელი და ინიციატორი შიო აბრახამიაა.

ფესტივალი საქართველოს პარლამენტის კულტურის კომიტეტის თავმჯდომარის, პიანისტ ელისო ბოლქვაძის მხარდაჭერით ხორციელდება.

7 ოქტომბერს ფესტივალის ფარგლებში მარტვილის სამუსიკო სკოლაში ელისო ბოლქვაძის მასტერკლასი ჩატარდება.

8 ოქტომბერს საფორტეპიანო მუსიკის ეგიდით ელისო ბოლქვაძე კონცერტს გამართავს, ქართული დუეტების პროგრამაში კი მსმენელისთვის ნეკა სებისკვერაძე და დავით ნოზაძე იმღერებენ. კონცერტმაისტერი ნინო გულიაშვილი, მოდერატორი – ნიკოლოზ წულუკიძე.

9 ოქტომბერს ფესტივალი დამსწრე საზოგადოებას საგუნდო მუსიკას შესთავაზებს ბათუმის რევაზ ლაღიძის გოგონათა გუნდის შესრულებით – დირიჟორი მაგდა მათითაიშვილი. ამავე საღამოს მსმენელის წინაშე წარდგებიან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური კაპელა – დირიჟორი ლაშა მიროტაძე, რუსთავის ახალგაზრდული გუნდი „თუთარჩელა“ – დირიჟორი თამარ ბუაძე.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ხუროთმოძღვრული სტილი შუა საუკუნეების ევროპაში; 2. თურქული აბანო; 3. ვულკანიდან ამოფრქვეული სილიკატური მასა; 5. მერაბ ბერძენიშვილის ქანდაკება თბილისში; 6. არგენტინის ნაკრებისა და „რომას“ ფეხბურთელი; 8. საჭადრაკო ამოცანა; 11. ისტორიული ციხე-ქალაქი ჰერეთში; 13. ქართველი მოდელიერი ქალი; 14. მოსამართლე ესპანეთში; 15. შაქრითა და ხილის წვენებით მომზადებული აღმოსავლური სასმელი; 19. ადმინისტრაციული ერთეული საბერძნეთში.

**თარაზულად:** 1. ხელოვნების მუზეუმი ნიუ იორკში; 4. ებრაელთა საყოფაცხოვრებო წესებისა და სამართლის კანონთა კრებული; 7. მათემატიკური დებულება, რომლის მართებულობას ადგენენ მტკიცების გზით; 9. ლოგარითმის წილადური ნაწილი; 10. სოხუმის ძველი სახელწოდება; 12. აზერბაიჯანელ ქალთა ცეკვა; 16. კინოცენტრი იტალიაში; 17. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი სამეგრელოში; 18. იტალიური ყველი; 20. ლეონარდო და ვინჩის შედევრი; 21. წყლის ფრინველი; 22. მსხვილი ფინანსურ-სამრეწველო სააქციო გაერთიანება.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

